ესპანეთში დაპატიმრებული გემის ეკიპაჟის ქართველმა წევრებმა შიმშილობა დაიწყეს A3

მომავალ ორშაბათამდე A3

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 25 აგვისტო, 2003 წელი. №228 (440) | ფასი 30 თეთრი

## მთავრობა სეკვესტრის „ავარიულ" ვარიანტზე მუშაობს

გვანცა კვინიკაძე

*როგორც ჩანს, მთავრობას საბოლოოდ გადაეწურა იმედი, რომ წარდგენილ სეკვესტრსა და საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებს პარლამენტი სავალუტო ფონდისთვის დიდი ხვეწნა-მუდარით გამოთხოვილი საბოლოო ვადისთვის - სამშაბათისთვის მაინც დაამტკიცებს. გუშინ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ე.წ. "B", ანუ "ავარიულ" სცენარზე მუშაობა სერიოზულად დაიწყო და მისი პირველი სამუშაო ვარიანტების განხილვას ორი სპეციალური (მათ შორის, ერთი – პრეზიდენტთან) თათბირიც კი მიუძღვნა. "B" სცენარის ამოქმედება იმას მოასწავებს, რომ დეკემბერში საქართველო, უკეთეს შემთხვევაში, სავალუტო ფონდთან შეწყვეტილი პროგრამის განახლებაზე მოლაპარაკებების დაწყებას შეძლებს.*

სეკვესტრის პაკეტისგან განსხვავებით, რომელიც ხარჯების შეკვეცასთან ერთად შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდასაც გულისხმობდა, "B" სცენარი მხოლოდ ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ამ ფაქტორის გამო შესაკვეცი თანხების მოცულობებიც განსხვავებული იქნება. კერძოდ, ისაკაძის ვარაუდით, "B" ვარიანტის მიხედვით, ხარჯები, დაახლოებით 74-78 მილიონი ლარით შემცირდება. ეს ოპერაცია ფინანსთა მინისტრის ბრძანების საფუძველზე

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტის შემოდგომა

### შევარდნაძე ახალი პოლიტიკური ეტაპისთვის ემზადება

*რუსული ენერგოკომპანიების საქართველოში შემოსვლა და შევარდნაძის მიერ პოლიტიკური ვექტორის შეცვლის თემა კვლავ საზოგადოების განსჯის საგნად რჩება. ქვეყნის პირველი პირის ბოლოდროინდელი ნაბიჯები მრავალ კითხვას ბადებს. პოლიტიკურ ტექნოლოგიებთან ერთად მის პიროვნულ თვისებებსაც თუ ჩავუღრმავდებით, ძველ და ურყევ ჭეშმარიტებამდე მივალთ - შევარდნაძე დღესაც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იბრძვის.*

გოგა ოქროპირიძე
სპეციალურად "24 საათისთვის"

#### დიდი მოთამაშე

ამერიკელი ასტროლოგი ლინდა გუდმანი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის ფსიქოლოგიური პორტრეტის მონახაზს გვთავაზობს, წერს: "მასთან ურთიერთობისას ყოველგვარი მოულოდნელობებისთვის მზად უნდა იყოთ. უყვარს არაორდინარული მოქმედებით საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ წასვლა". ამერიკელი იქვე დასძენს, რომ მისი საიდუმლოს ამოხსნა მხოლოდ მომავალ თაობებს შეუძლიათ.

მართლაც ძნელია გადაჭრით ამტკიცო ესა თუ ის აზრი იმ პიროვნების შესახებ, რომლისთვისაც პირველკაცობა წესად იქცა. შევარდნაძეს კომუნისტურ წარსულში დამოუკიდებელი პოლიტიკა არასოდეს უწარმოებია. ამიტომ იგი ნაკლებად არის აღმშენებელი და დიდი საქმეების ინიციატორი. ის ჩვეულებას არ ღალატობს და დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში ჩადგომის დღიდან, აქცენტს ცკ-ს პირველი მდივნობისდროინდელ ურთიერთობებზე აკეთებს, თუმცა წარმატებით ახერხებს დასავლური ფასეულობების დეკლარირებას და დემოკრატის იმიჯსაც იქმნის.

საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხშირად მოქმედებს დიდი პოლიტიკის მეთოდებით (თითქოს ამ ქვეყნის მასშტაბები არ ჰყოფნის). ის საკუთარ მაღალ სიბრტყეში მოქმედებს და ყოველთვის შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობების მიღმა რჩება. როგორც ავტობიოგრაფიულ წიგნში

გაგრძელება A3 გვერდზე

## პარლამენტის თავმჯდომარის ლაშქრობა პრეზიდენტის სამშობლოში

*პარლამენტის თავმჯდომარემ და ვიცესპიკერმა გიგი წერეთელმა საარჩევნო ტურნე გურიაში განაგრძეს. ეს მხარე იუმორითა და ხალისით დაჯილდოებული ხალხით არის გამორჩეული, მაგრამ მოსახლეობასთან შეხვედრების დროს თბილისელი სტუმრები დარწმუნდნენ, რომ გურულებს დღეს სახუმაროდ სულაც არ აქვთ საქმე. სოციალურმა სიდუხჭირემ თავისი მზაკვრული ხელი ამ კუთხეს ღრმად დაამჩნია. ოზურგეთსა და ლანჩხუთში, სოფლებში - შრომაში, კონჩკათში, ლიხაურში, სუფსაში, ნიგოეთში გამართული შეხვედრების დროს ადგილობრივი მოსახლეობა პარლამენტის ხელმძღვანელებს, ძირითადად, თავის ეკონომიკურ გაჭირვებაზე შესჩიოდა. სოფლის კლუბებში იმედდაკარგული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ხალხი სჭარბობდა.*

გიორგი ასანიშვილი

ნინო ბურჯანაძე და გიგი წერეთელი გულწრფელად, ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ესაუბრებოდნენ მოსახლეობას თავიანთი ახლადშექმნილი ბლოკის საარჩევნო სამომავლო გეგმებზე.

**"ჩვენთვის არადამაკმაყოფილებელი შედეგი იქნება ახალ პარლამენტში მხოლოდ 25-30 კაცით შესვლა. ჩვენ ჩანაფიქრს და დასახულ მიზნებს ხორცი რომ შევასხათ, აუცილებელია, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობაში ვიყოთ,"** - აცხადებდნენ ისინი და ადგილობრივ მოსახლეობას პოლიტიკური აქტივობის გამოჩენას და 2 ნოემბრის არჩევნებზე მისვლას სთხოვდნენ. **"წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს და ქვეყანაში სასიკეთოდ არაფერი შეიცვლება,"** – არწმუნებდა გურულებს ნინო ბურჯანაძე.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პანკისი ანტიკრიმინალური ოპერაციის წლისთავზე

ლელა მჭედლიძე

*პანკისის ხეობაში ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებიდან ერთი წელი გავიდა. ადრე მსოფლიო რუკაზე ლამის ერთ-ერთ საშიშ წერტილად მონიშნულ ხეობაში ოპერაციის წლისთავზე ძალოვანი მინისტრები მძიმე ტექნიკის ნაცვლად მსუბუქი ავტომანქანებით ჩავიდნენ. გუშინ პანკისში უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია იმყოფებოდა. დღეს ხეობას უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი ესტუმრება.*

უშიშროების მინისტრი ამაყობს, რომ პანკისის მოსახლეობა სახლის კარს არ კეტავს. მისი შეფასებით, "**პანკისი დღეს**

გაგრძელება A2 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

ვალერი ხაბურძანია კმაყოფილია პანკისში დასადგურებული სიმშვიდით.

## ხმაურიანი შინაარსის მშვიდი აქცია

*ანჩისხატის ტაძრის მრევლმა სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ნოდარ ლომოურს გუშინ კიდევ ერთი მიმართვა აახლა და ანჩისხატის დაბრუნება კიდევ ერთხელ სთხოვა. მორწმუნეებმა მუზეუმისკენ გეზი, ტაძრის წინამძღოლის, დეკანოზ რევაზ ტომარაძის ლოცვა-კურთხევით, ნაშუადღევს აიღეს. იქამდე ისინი ხელმოწერებით აგრძელებდნენ მიმართვას მიერთებულთა სიას, რომელიც უკვე ათას ადამიანზე მეტს მოითვლის.*

მაკა ჭაიანი

მე-17 საუკუნეში დომენტი კათალიკოსის კურთხევით, ანჩისხატს დედაქალაქში ღვთისმშობლის შობის სახელზე აგებული უძველესი ეკლესია დაუთმეს და საკურთხეველში დააბრძანეს. ასე ეწოდა მას ანჩისხატის ტაძარი. ხატი ტაძრიდან საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული რეპრესიების გამო გააბრძანეს და, სხვა რელიგიურ სიწმინდეებთან ერთად მუზეუმს დასაცავად საქართველოს მაშინდელი კათალიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის თხოვნით გადასცეს.

**"სიწმინდეების დღევანდლამდე მოტანისა და დაცვისთვის უმადურობას როდი ვიჩენთ, მაგრამ არც ის დაგვვიწყნია, რომ პატრონისთვის ქონების დამბრუნებელს კეთილად შემნახველი ჰქვია, სხვისი ქონების მიმთვისებელს კი მოძალადე და მიმტაცებელი... ხატები ეკლესიისთვის შეიქმნა და თავის სასწაულებრივ ძალმოსილებას სწორედ ეკლესიის წიაღში ავლენენ... ხმამაღლა ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი ეკლესიისა და ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ 1921 წელს დაწყებული შეურაცხყოფის ფარისევლური გაგრძელებაა,"** – ნათქვამია მიმართვაში.

მის ტექსტს სრულად ეთანხმება ანჩისხატის ტაძრის მრევლი: **"ხატი ღმერთმა შექმნა იმისთვის, რომ მასზე ილოცო, ესაა მისი ერთადერთი დანიშნულება,** - ამბობს მანანა ჭირაქაძე, - **განსაკუთრებით ისეთი ხელთუქმნელი ხატისა, როგორიც ანჩისხატია, რომელიც უდიდესი სიწმინდეა და იერარქიულად ყველაზე მაღლა დგას მსოფლიოს მართლმადიდებლურ სიწმინდეთა შორის."**

**"როგორ შეიძლება ხატის პატიმრობაში ყოფნა?** – კითხულობს ანჩისხატის ტაძრის წინამძღოლი, დეკანოზი რევაზ ტომარაძე, - **ხმა ღვთისა – ხმა ერისაო, ხომ გაგიგონიათ?**

გაგრძელება A2 გვერდზე

## ვინ აცილებს კონტრაბანდულ ტვირთს?

*სამი კვირის წინ, კონტრაბანდის წინააღმდეგ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებით დაწყებული ბრძოლა ძალოვნებმა ჯერ კიდევ ვერ დაასრულეს. კონტრაბანდისტთა ვინაობები ჯერჯერობით კვლავ გასაიდუმლოებულია და, შესაბამისად, არც პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნა შესრულებულა – კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლმა სამართალდამცველებმა, თუ რამდენიმე წვრილფეხა კონტრაბანდისტს არ ჩავთვლით, მსხვილი საქმეები ვერ დააწყვეს.*

A2

## ჩინური მილიონი „აბრეშუმის ჭიებისათვის"

*ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო საქართველოში იჯარით აღებული შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის საკუთრებაში გადაცემის სანაცვლოდ მზად არის მილიონი აშშ დოლარი გაიღოს. სახელისუფლებო ბლოკს ამ ფულის ხელიდან გაშვება არ სურს. არადა, მთელი ეს ტერიტორია პროფესორ სოლომონ ქურდიანის მიერ შექმნილ აღმოსავლეთ საქართველოში პირველ დენდროლოგიურ პარკს ეკუთვნის და საქართველოს კანონმდებლობით მისი ნებისმიერი ფორმით გასხვისება აკრძალულია. ამ მკაფიოდ დადასტურებული ფაქტის მიუხედავად, თითქმის წელიწადია, "საკითხი განხილვის პროცესშია".*

გიორგი გახელაძე

ჩინეთის საელჩო საქართველოში 1993 წლიდან არსებობს. მათთან ცხრაწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც გამოეყოთ არქიტექტორთა კავშირის შენობა ბარნოვის ქ. №52-ში, 53-ე სკოლის გვერდით. გარდა ამისა, იჯარითვე საელჩოს გადაეცა მიმდებარე პარკის (1400 კვ.მ., ბარნოვის ქ. №54) ნაწილი. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთის მხარემ გადაცემული შენობის რეკონსტრუქცია

გაგრძელება A4 გვერდზე

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 25 | ☼ |
| ქუთაისი | 27 | ☼ |
| ბათუმი | 26 | ☼ |
| სოხუმი | 24 | ☼ |
| ფოთი | 27 | ☼ |
| თელავი | 26 | ☼ |
| ზუგდიდი | 27 | ☼ |
| გორი | 24 | ☼ |
| ახმეტა | 26 | ☼ |
| ჭიათურა | 23 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.4625 |
| გირვანქა სტერლ | 3.4452 |
| რუბლი | 0.0705 |

## ამბოხებული მოსამართლე და კანონის უზენაესობა

ნიკოლოზ რურუა

ალაბამას შტატში ორი წლის წინათ ერთ შუაღამეს დაწყებულმა ამბავმა დღეისათვის მთელი შეერთებული შტატების მორწმუნეთა, კონსტიტუციონალისტთა და სამოქალაქო უფლებების ადვოკატთა ყურადღება მიიპყრო.

იმ ღამით ალაბამას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მოსამართლე როი მურის ბრძანებით, სასამართლოს შენობის შესასვლელში ორიათასექვსასკილოგრამიანი ქვის მონუმენტი დადგეს. მონუმენტზე მოსეს ათი მცნების შემცავი ფილების კომპოზიციაა გამოსახული.

ამ ქმედებას ორწლიანი სასამართლო პროცესების მთელი კასკადი მოჰყვა, რომელთა უკანასკნელი აკორდიც რამდენიმე დღის წინ ფედერალური (საოლქო) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყო. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ფედერალური სასამართლოს მოსამართლემ, მაირონ ტომპსონმა, ალაბამას შტატის უზენაეს სასამართლოს მონუმენტის დაუყოვნებლივ აღება უბრძანა, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, სამთავრობო შენობებში რელიგიური სიმბოლიკის გამოფენა არღვევს სახელმწიფოსა და ეკლესიის გაყოფის კონსტიტუციურ პრინციპს.

ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს არსებული გადაწყვეტილებები მოვლენათა ამგვარ განვითარებას პროგნოზირებადს ხდიდა. მოულოდნელობამ, დამკვირვებელთა გასაოცრად, სულ სხვა მხრიდან იჩინა თავი.

მოხდა აქამდე არნახული რამ - ალაბამას შტატის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, როი მურმა, ფედერალური სასამართლოს ბრძანებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

მისი სიტყვებით, რომელიც მან სასამართლოს შენობის წინ შეკრებილი ასობით მხარდამჭერის წინაშე წარმოთქვა, ქვის მონუმენტზე ამოკვეთილი ათი მცნება "დასავლური იურისპრუდენციის იუდეურ-ქრისტიანული წარმოშობის მტკიცებულებასა და ჩვენი სამართლის საფუძველს" წარმოადგენს. მას, როგორც "ხალხის მიერ არჩეულ მოსამართლეს, ევალება კონსტიტუციის დაცვა",

გაგრძელება A3 გვერდზე




## ოლიგარქებზე ნადირობა გრძელდება

### რუსი მედია-მაგნატი ათენის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს

*თელ-ავივიდან საბერძნეთში მიმავალი ცნობილი რუსი ბიზნესმენი ვლადიმირ გუსინსკი ათენის საერთაშორისო აეროპორტში გუშინწინ დააკავეს. საბერძნეთის პოლიციის განცხადებით, ტელეკომპანია "ნრკ"-ს ყოფილი მფლობელი ინტერპოლის მოთხოვნის საფუძველზე დააპატიმრეს. არადა, ინტერპოლის საერთაშორისო ოფისის განცხადებით, გუსინსკი ინტერპოლის შავ სიაში შეყვანილი არ ყოფილა, შესაბამისად, მის ძებნასა და დაკავებაზე ინტერპოლის მიერ ბრძანება გაცემული არ იყო.*

ჯერ კიდევ ორი წლის წინ ინტერპოლის გენერალურმა დირექტორმა რონალდ ნოუბლმა გუსინსკის საქმესთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. ნოუბლის შეფასებით, გუსინსკის საქმე პოლიტიკური ხასიათისაა. ორი თვის წინ ინტერპოლმა უარი განაცხადა, ვლადიმირ გუსინსკიზე ძებნა გამოეცხადებინა. დოკუმენტების შესწავლის შემდეგ ინტერპოლის მოსკოვის ნაციონალურმა ბიურომ შეუძლებლად მიიჩნია, რუსეთის სამართალდამცველთა მოთხოვნა რეგისტრაციაში გაეტარებინა. გუსინსკის ადვოკატისთვის ინტერპოლის გენერალური დირექტორის მიერ გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: "მიგვაჩნია, რომ საქმე პოლიტიკური ხასიათისაა. კანონით, ინტერპოლს პოლიტიკურ, რელიგიურ, სამხედრო და რასობრივი ხასიათის საქმეებში ჩარევა და რაიმე მოქმედების განხორციელება მკაცრად ეკრძალება."

რუსი მედია-მაგნატის დაკავების ფაქტი დაადასტურა საბერძნეთში რუსეთის საელჩომ, თუმცა, სხვა დეტალებზე საუბარზე კატეგორიული უარი განაცხადა.

რუსი ოლიგარქი ამჟამად ათენის აეროპორტში იმყოფება. კომპანიის პრესმდივნის განცხადებით, "Медиа-Мост" –ის საბერძნეთის წარმომადგენლობის ადვოკატები გუსინსკის გათავისუფლების პროცედურაზე მუშაობენ. თუმცა, გამოსასვლელი დღეების დასრულებამდე, ანუ ორშაბათამდე იურიდიული პროცედურის განხორციელება ვერ მოხერხდება.

ბოლო პერიოდში დასავლეთის პრესა სერიოზულად დაინტერესდა, თუ რატომ დაიწყო რუსეთში ოლიგარქების დევნა.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 ამბები | A5 სპორტი | A6 - A7 "საოჯახო ტოტოს" ცხრილი | A8 სხვადასხვა

# პანკისი ანტიკრიმინალური ოპერაციის წლისთავზე

პირველი გვერდიდან

**ერთ-ერთი ყველაზე წყნარი ადგილია საქართველოში. ბლოკპოსტები და შეიარაღება ხეობაში შემცირდა და ნოემბერ-დეკემბრის შემდეგ კიდევ უფრო შემცირდება. პანკისთან დაკავშირებული თითქმის ყველა გატაცების საქმე გახსნილია და რაც დარჩა, იმასაც მოევლება"**. დარჩენილი კი ბერი ბასილ მაჩიტაძეა, რომლის საქმეზეც უშიშროების უწყება, მისი შეფის შეფასებით, მთელი ძალისხმევით მუშაობს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ "ბერმუდის სამკუთხედად" გადაქცეულ პანკისში, ახლა ტურისტული ბიზნესის აღორძინებაზე სერიოზულად ფიქრობენ. კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულმა ბიძინა სონღულაშვილმა გუშინ ხეობაში ჯოყოლოს მკვიდრთ შემოდგომისათვის ფრანგი სტუმრების ჩამოყვანა ახარა. შემდეგ კი ადგილობრივ მოსახლეობას, კონკრეტული ბიზნეს-გეგმის წარმოდგენის შემთხვევაში, საოჯახო ტურისტული ბიზნესის მხრივ დახმარებასაც დაჰპირდა.

ისე კი, სტუმრებად აქ ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ჩამოსულ ჩეჩნებს მიიჩნევენ. კახეთის რეგიონული სამმართველოს უფროსის პაატა პატიაშვილის თქმით, **"საერთოდ, ხეობაში დღეისათვის დაახლოებით 1500 ჩეჩენი დარჩა, აქედან მხოლოდ რამდენიმეს არ აქვს ლტოლვილის სტატუსი"**. ჩეჩნები მასპინძლობისათვის მადლობას იხდიან, და საქართველოდან წასვლას არ ჩქარობენ. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პრობლემები, თუნდაც - საკვების სიმცირე, საკმაოდ აწუხებთ, და სრული სიმშვიდე აქაც ვერ უპოვიათ, სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი არ აქვთ. სულ ცოტა ხნის წინ პანკისში ჩეჩენი საველე მეთაური რუსლან გელაევიც დაქროდა. ახლა აქ, როგორც ამბობენ, მხოლოდ მისი ძმა შემორჩა, რომელიც თავისი საბრძოლო სულისკვეთების დემონსტრირებით ნამდვილად არ არის მოწადინებული.

პრობლემები ადგილობრივ მოსახლეობას - ქისტებსაც აქვთ. სოფელ მატანში ხაზურძანიას დაკავებული მუსა, ანზორ და ელიზბარ ხანგოშვილების გათავისუფლებას სთხოვდნენ. **"უსამართლოდ არიან დაკავებულნი... დანაშაულის ჩადენა, განსაკუთრებით - 60 წლის ელიზბარ ხანგოშვილს, არ შეეძლო"...** ხაზურძანია ხალხს საქმეში გარკვევას ჰპირდებოდა. ძირითადი პრობლემა ელექტროენერგიის დეფიციტია, თუმცა, ამ გასაჭირს ცოტა ხანში ელექტროსადგურ "ხადორის" მშენებლობის დამთავრების შემდეგ უნდა მოევლოს. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა პანკისის ხეობისთვის მაღალმთიანი რეგიონის კატეგორიის მიკუთვნებას ითხოვს, აქედან გამომდინარე შეღავათებით.

ანტიკრიმინალური ოპერაციის დაწყებიდან ერთი წელი გავიდა, ძალოვანი მინისტრები მის ახლო მომავალში დასრულებაზე საუბრობენ.

# ხმაურიანი შინაარსის მშვიდი აქცია

პირველი გვერდიდან

**უნდა შეისმინოს ერმა ეს ხმა, უნდა დაემორჩილონ ამ მოთხოვნას, თორემ ყაჩაღები იქნებიან. ამბობენ, ანჩისხატს ვერ დაიცავთო. ხატი თავის თავს ყველგან დაიცავს. მრევლში არის ხალხი, რომელიც მის დაცვას ფინანსურადაც უზრუნველყოფს."**

იმით, მოახერხებს თუ არა ტაძარი ამ უძვირფასესი ხატის დაცვას, სახელმწიფო მუზეუმშიც დაინტერესდნენ. ეს იყო პირველი და ძირითადი კითხვა, რომელსაც მუზეუმის თანამშრომლები მათთან მიმართვით მისულ ხალხს უსვამდნენ. რაც შეეხება ხატის ხილვას, საგანძურის საცავის უფროსი გოჩა ლომთაძე, რომელსაც მუზეუმში არმყოფი ნოდარ ლომოურის ნაცვლად მოუხდა კითხვებზე პასუხის გაცემა, ვითარებას ასე განმარტავს: **"კვირაში ორჯერ, ოთხშაბათსა და კვირას, საღამოს საათებში მრევლს შეუძლია აქ მოვიდეს და ანჩისხატი იხილოს, დამალული იგი არავისთვისაა."**



ანჩისხატის მრევლი მიმართვის ტექსტზე ხელს აწერს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ ანჩისხატის ტაძრის მრევლმა ვერ მიიღო პასუხი იმაზე, თუ როდის დაუბრუნდება მას ხატი. ამაზე პასუხის გაცემა უჭირს კულტურის მინისტრს სესილი გოგიბერიძესაც, რომელსაც მიმართვის ტექსტს, სავარაუდოდ, დღეს მიართმევენ. **"კონკორდატის მიღების შემდეგ, საკითხი ასე მწვავედ აღარ უნდა იდგეს, საეკლესიო საგანძურზე ეკლესიის უფლებები გამოკვეთილია,** - აცხადებს კულტურის მინისტრი, - **ახლა სპეციალური კომისია მუშაობს იმაზე, თუ რომელი ნივთი როდის და როგორ უნდა გადაეცეს ეკლესიას. ზუსტი პასუხი მხოლოდ ამ სამუშაოს დასრულების შემდეგ იქნება მზად."**

დღეს დანამდვილებით იმასაც ვერავინ იტყვის, მიაბრძანებენ თუ არა ანჩისხატს მისი სახელობის ტაძარში ანჩისხატობას, 29 აგვისტოს. **"შეუძლებელი არაფერია,** - მიიჩნევს სესილი გოგიბერიძე, - **მით უმეტეს, რომ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული ხელშეკრულება საეკლესიო საგანძურის ორმაგ მფლობელობაზე ნათლად მიუთითებს. თუმცა, საბოლოო სიტყვა სპეციალისტებმა უნდა თქვან. მათ უნდა გვითხრან, მოუტანს თუ არა ზიანს ხატს ტრანსპორტირება და სხვა ცვლილებები."**

# ვინ აცილებს კონტრაბანდულ ტვირთს?

*სამი კვირის წინ კონტრაბანდის წინააღმდეგ ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებით დაწყებული ბრძოლა ძალოვნებმა ჯერ კიდევ ვერ დაასრულეს. კონტრაბანდისტთა ვინაობები ჯერჯერობით, კვლავ გასაიდუმლოებულია და, შესაბამისად, არც პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნა შესრულებულა – კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლმა სამართალდამცველებმა, თუ რამდენიმე წვრილფეხა კონტრაბანდისტს არ ჩავთვლით, მსხვილი საქმეები ვერ დააწყვეს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ, დილიდან გვიან ღამემდე, გორი-ცხინვალის საავტომობილო გზა გადაკეტილი იყო. აქციის მონაწილეები სამართალდამცველების მიერ გუშინწინ დაკავებული ნიკოლოზ ხმიადაშვილის, მეტსახელად "რობოტის" გათავისუფლებას ითხოვდნენ. სამართალდამცველთა მტკიცებას, რომ ხმიადაშვილი იარაღის უკანონოდ ტარებისთვის დააკავეს, გუშინდელი აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ და აცხადებდნენ, რომ ნიკოლოზ ხმიადაშვილს შს სამინისტროს სპეცრაზმელებმა იარაღი უკანონოდ ჩაუდეს. საპროტესტო აქციის მონაწილეები გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს აქციაზე უხმობდნენ და პასუხს, ხმიადაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით, პირადად მისგან ელოდნენ. **"სასწრაფოდ გაათავისუფლეთ უკანონოდ დაპატიმრებული ხმიადაშვილი, თორემ უკიდურეს ზომებს მივმართავთ"**, - ასეთი გახლდათ შეკრებილთა მოთხოვნა-მუქარა. **"ნიკოლოზ ხმიადაშვილს აქ საკმაოდ დიდი გავლენა აქვს და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციასაც უპრობლემოდ არეგულირებდა. მისი დაკავება, ოსი კრიმინალების მხრიდან გააქტიურების საშიშროებას შექმნის"**, - აცხადებდნენ აქციის მონაწილეები.

ნიკოლოზ ხმიადაშვილი და დურგლიშვილი, სამართალდამცველებმა გუშინწინ, ონკოლოგიური საავადმყოფოს ეზოში დააკავეს. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაკავების ფაქტი სასწრაფოდ სახელმწიფო მინისტრს აუწყა და მისგან ქება-დიდებაც დაიმსახურა. **"ხმიადაშვილისა და მისი დაჯგუფების დაკავებით, ბოლო მოეღება მითქმა-მოთქმას იმის შესახებ, თითქოს შიდა ქართლში მოქმედ ცნობილ კონტრაბანდისტებს, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ცენტრალური ხელისუფლება, შინაგან საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა"**, - ასე შეაფასეს კობა ნარჩემაშვილმა და ავთანდილ ჯორბენაძემ ხმიადაშვილისა და დურგლიშვილის დაკავება. **"დაკავებულია სერიოზული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც ერგნეთის ბაზრობიდან ტვირთებს აცილებდა და სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მეწარმეებს, რომლებიც სასაქონლო ოპერაციებს კანონიერად აწარმოებდნენ "**, - კმაყოფილებას ვერ მალავს შინაგან საქმეთა მინისტრი. სახელმწიფო მინისტრის განმარტებით კი, გუშინწინდელი ფაქტი კონტრაბანდასთან ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

არადა, მანამდე გავრცელდა ინფორმაციები, რომ დაკავებულებს საქმიანობაში კარგა ხნის განმავლობაში მართლაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მფარველობდა. თავად დაკავებულები მათ მიმართ წაყენებულ ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ კონტრაბანდასთან არანაირი შეხება არ ჰქონიათ. **"ზოგიერთი მონაცემებით, დაკავებულებს ჰყავთ მფარველი სახელმწიფო კანცელარიაში. თუ ეს ასეა, მე პირობას ვიძლევი, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ გამოძიებას ხელი არავინ შეუშალოს, რათა მფარველი გამოვლინდეს. თუ ასეთი მართლაც არის, ის სასამართლოს წინაშე წარდგება"** – იმუქრება ჯორბენაძე.

თავის მხრივ, პირობას დებენ სამართალდამცველებიც : **"ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ჯგუფის ვერც ერთმა წევრმა ვერ შეუშალოს ხელი გამოძიებას"**, - დაკავებულ "რობოტთან" და მის მეგობრებთან "საქმიან" კავშირს ნარჩემაშვილის უწყებაში კატეგორიულად უარყოფენ.

**"პოლიციელების ქმედებით აღფრთოვანებულმა ნარჩემაშვილმა, რომელიც წინასაარჩევნო ქულებს იწერს, პასუხი უნდა აგოს იმ ქმედებაზე, რასაც მისი ხელქვეითები სჩადიან. ხმიადაშვლსა და დურგლიშვილს, დაკავებისას, პოლიციამ დიდძალი იარაღი და დიდძალი ნარკოტიკი – ჰეროინი - უპრობლემოდ ჩაუდო. სახეზეა უკანონო საპროცესო პოლიციური მოქმედებები. დაკავებულებთან კარგა ხანს არც ადვოკატს უშვებდნენ. მათ ბრალი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე წაუყენეს. თუკი კონტრაბანდისტობის ბრალდებით აკავებდნენ, კონკრეტული მტკიცებულებები გამოეყენებინათ, იარაღისა და ნარკოტიკის ჩადება რისთვის დასჭირდათ. საქმე ისაა, რომ ერგნეთის ბაზრობაზე კონტრაბანდით და ტვირთების გაცილება-გამოცილებით თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირები არიან დაკავებულები. მათ ხელს უშლიან ისინი, ვისაც კანონიერად, ლეგალურად შემოაქვს ტვირთი. სწორედ ამიტომ უნდა შშს-ს ხმიადაშვილისა და დურგლიშვილის მოშორება"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას დაკავებულთა ადვოკატმა ეკა ბესელიამ.

ხმიადაშვილისა და დურგლიშვილის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის საკითხს დღეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო გადაწყვეტს.

# დამნაშავედ გამოცხადებულს ბრალი ვერ წაუყენეს

რამდენიმე დღის წინ სამართალდამცველების მიერ არასრულწლოვანის გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული პაატა მურადაშვილი გუშინწინ წინასწარი დაკავების საკნიდან ისევ სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს. ამის მიზეზი ის გახდა, რომ მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი მურადაშვილისთვის გამოძიებამ კანონით გათვალისწინებულ 48-საათიან ვადაში ბრალის წაყენება ვერ შეძლო.

უკვე გათავისუფლებული პაატა მურადაშვილის ადვოკატები მისი ბრალეულობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას აპროტესტებენ და სამართალდამცველებს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებენ.

**"მურადაშვილის დამნაშავეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, მისი ავტორიტეტი შეილახა და უდანაშაულობის პრეზუმფცია უხეშად დაირღვა. დააკავეს და მაშინვე გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მძიმე დამნაშავე ხელიდან ვერ გაუსხლტათ. არადა, იმდენად ყალბი იყო ეს ყველაფერი, რომ მისთვის ბრალის წაყენება თავადვე გაუჭირდათ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო განაჩენის გამოტანამდე ეჭვმიტანილის დამნაშავედ გამოცხადება და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება, დაუშვებელია. ასეთ დროს ეჭვმიტანილი ლინჩის წესით გასამართლებისგან დაზღვეული არ არის"**, - აცხადებენ პაატა მურადაშვილის ადვოკატები.

რაც შეეხება უკვე გათავისუფლებულს, ის ირწმუნება, რომ არაფერი დაუშავებია. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებმა მურადაშვილს ბრალი ვერ წაუყენეს და წინასწარი დაკავების საკნიდანაც გაუშვეს, ის საქმეში მაინც ეჭვმიტანილის სტატუსით ფიგურირებს.

*24 საათი*

## მოკლედ

### მოშიმშილეთა მოთხოვნა უცვლელია

მეოთხე დღეა გრძელდება შიმშილობა თბილისში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს (ე. წ. „იმელის") შენობის წინ. აფხაზეთის ომის მონაწილეთა მოთხოვნა უცვლელია - გადადგეს აფხაზეთის მინისტრთა საბჭო და მისი თავმჯდომარე ლონდერ ცაავა. შიმშილობის მეოთხე დღეს აქციის მონაწილეთა რიცხვი 16-მდე გაიზარდა.

აქციის მონაწილის ანატოლი კვარაცხელიას განცხადებით, დღეს ხუთმა მოშიმშილემ მშრალი შიმშილობა დაიწყო.

მოშიმშილეთა თქმით, თუ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ორ დღეში არ შეიცვლის პოზიციას და მათ მხარს არ დაუჭერს, მაშინ ისინი ნადარეიშვილის გადადგომასაც მოითხოვენ.

ანატოლი კვარაცხელია აცხადებს, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში გამართულ აქციათა შორის ეს არის ყველაზე სერიოზული. იგი მოუწოდებს დევნილ მოსახლეობას, მივიდნენ და მორალური მხარდაჭერა გამოუცხადონ მოშიმშილეებს.

მოშიმშილეთა განცხადებით, აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას არ შეუძლია რეალური ნაბიჯების გადადგმა აფხაზეთის დასაბრუნებლად, ამდენად საჭიროა ახალი ძალა აფხაზეთის დასაბრუნებლად. **მედია-ნიუსი.**

### სვანები მოსალოდნელ სპეცოპერაციას გაგებით ეკიდებიან

როგორც მესტიის რაიონის გამგებელი ერეკლე ჯაფარიძე აცხადებს, სვანეთის მოსახლეობა მოსალოდნელ სპეცოპერაციას გაგებით ეკიდება. თუმცა, უახლოეს დღეებში მესტიაში ამ საკითხს უხუცესთა ყრილობა მიეძღვნება და მას ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტებიც დაესწრებიან.

ერეკლე ჯაფარიძის თქმით, სპეცოპერაციის დაწყებამდე იგი აუცილებლად კრიმინალთა შემორიგებას შეეცდება. მესტიის გამგებლის მტკიცებით, სვანეთს თავს აფარებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან გამოქცეული მკვლელობებისა და სხვა მძიმე დანაშაულებისათვის ძებნილი პირები.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სვანეთში, ძარცვის მიზნით უცხოელებზე თავდასხმის 30-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული.

"სამწუხაროდ, სვანეთში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმისთვის, რომ აქ კრიმინალებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. რაც შეეხება ადგილობრივებს, ვერ ვიტყვი, თითქოს აქ ისეთი დანაშაულებრივი ჯგუფები მოქმედებდეს, როგორიც სამეგრელოში იყო. მჯერა, რომ სვანეთში ნებისმიერი ღონისძიება გააზრებულად ჩატარდება და შედეგსაც გამოიღებს. ხალხი ყოველდღიური სროლებით დაიღალა და მოხარულია, რომ ყველაფერი მოგვარდება", - აცხადებს მესტიის გამგებელი. ***მედია-ნიუსი***

### "სოლიდარობა" აპოლიტიკური აქციებით იმუქრება

საქართველოს რამდენიმე რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებს კვლავ არ მიუღიათ საშვებულებო ხელფასები, რასაც, შესაძლოა, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში ფართომასშტაბიანი აქციები მოჰყვეს (საშვებულებო ხელფასი მოიცავს 25 ივნისიდან 20 აგვისტომდე — 48 დღეს). პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირის „სოლიდარობის" (იმერეთის რეგიონის) თავმჯდომარის მოადგილე ნანა სვანიძე აცხადებს, რომ თუ საშვებულებო ხელფასები ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე არ გაიცემა, შესაძლოა, ფართომასშტაბიანმა აქციებმა ახალი სასწავლო წლის განახლებაც სათუო გახადოს, მაგრამ ამას პოლიტიკური სარჩული არ ექნება;

მისივე ინფორმაციით, საშვებულებო ხელფასები არ გაიცა ძირითადად იმ რაიონებში, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების თანადაფინანსებით ან მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტით. მათ შორისაა იმერეთის რეგიონში — სამტრედია, ჭიათურა, ვანი, წყალტუბო. ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონშიც — ქარელი, დედოფლისწყარო.

საშვებულებო ხელფასები ამჟამად დარიგებულია საქართველოს მასშტაბით, ძირითადად, რაიონულ ცენტრებსა და დედაქალაქში. **მედია-ნიუსი.**

# ჩინური მილიონი „აბრეშუმის ქიებისათვის„

პირველი გვერდიდან

მოახდინა და ააშენა კიდეც დამატებითი ნაგებობა (სულ 3744 კვ.მ). პარკსაც, რაღა დასამალია, ბუნების ესთეტი ჩინელები მშვენივრად უვლიან. როგორც ჩანს, მათ ძალიან კარგად იციან, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში ქართული სატყეო მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ სოლომონ ქურდიანის მიერ საკუთარი შრომითა და სახსრებით გაშენებულ, 300-მდე უნიკალურჯიშიან დენდროპარკთან აქვთ საქმე, რომლის ფულადი შეფასება შეუძლებელია. სწორედ სოლომონ ქურდიანის შემუშავებული იყო, ნოე ჟორდანიას დაკვეთით, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კანონპროექტი ტყის შესახებ. მაშინ აღარ დასცალდათ, რომ იგი მიეღოთ. არადა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის, ნინო ჩხობაძის თქმით, ის დოკუმენტი დღესაც ძალიან აქტუალურია. ქურდიანისვე შექმნილია მეტყევეობის ენციკლოპედია. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი დენდროპარკი გაშენებული იყო ბარნოვის, გოგებაშვილის, ერისთავ-ხოშტარიასა და შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქუჩებს შორის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, უკვე 50-იან წლებში იქ განაშენიანება დაიწყო. აშენდა 53-ე საშუალო და მუსიკალური სკოლები, ორი საბავშვო ბაღი და არქიტექტორთა კავშირის სახლი.

მოკლედ, 2002 წელს საიჯარო ხელშეკრულების ვადა გადიოდა და ჩინეთის საელჩომ თადარიგი დაიჭირა. მათ ხელისუფლებას, ათვისებული შენობებისა და მიმდებარე ბაღის საკუთრებაში გადაცემის თხოვნით, 2002 წლის შემოდგომაზე მიმართეს. შარშან, 26 ოქტომბერს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ ამ საკითხის მოგვარება საგარეო საქმეთა მინისტრს, ირაკლი მენაღარიშვილსა და თბილისის მერს, ვანო ზოდელავას დაავალა: **"გთხოვთ, შეისწავლოთ და მაქსიმალურად აღმოუჩინოთ დახმარება"**. უკვე 10 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ შოთა დოლონაძემ ჯორბენაძეს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი - **"ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსათვის პირდაპირი განკარგვის წესით მიწის ნაკვეთის გადაცემის შესახებ"** - ახლა, რომელიც 2003 წლის აპრილში ხელმოსაწერად იყო გამიზნული და მხოლოდ "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ" საქართველოს კანონს ეყრდნობოდა.

სახელმწიფო კანცელარიაში ამ განკარგულების პროექტის უწყებრივ შეთანხმებას ეკონომიკური რეფორმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის სამსახურის ეკონომიკისა და სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების უფროსი, კობა სოხაძე კურირებს. სწორედ შეთანხმების ამ პროცედურაში გაცხადდა საქმის არსი.

2003 წლის აპრილიდან მოყოლებული, ასეთი განკარგულების უკანონობას საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი საქალაქო სამსახური, თბილისის მერი და ამ უწყებების მონაწილეობით შექმნილი კომისიაც მკაფიოდ ადასტურებს. კერძოდ, ქ. თბილისის მთავრობის №13.04.284 (18 ნოემბერი, 1999წ.) დადგენილებით, "ქ. თბილისში საბაღე-საპარკო ხელოვნების ძეგლების დამატებითი ნუსხის დამტკიცების შესახებ", პროფ. ქურდიანის ე.წ. "სამეცნიერო საცდელი" ანუ დენდროპარკი, მითითებული საზღვრებით, მიჩნეულია ძეგლად.

2003 წლის 22 მაისის №372/2 საქართველოს სახელმწიფო მინისტრის დავალების საფუძველზე, შეიქმნა ერთობლივი კომისია და მან დაასკვნა: **"კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 28-ე და 76-ე მუხლების შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლების განსათავსებლად უძრავი ძეგლის საკუთრების უფლებით ან ნებისმიერი ფორმით სარგებლობისათვის გადაცემა აკრძალულია."** ამასთან, კანონიერი პროცედურის ბოლომდე მისაყვანად კომისიამ რეკომენდაცია გასწია: **"აღნიშნული ტერიტორიის საკუთრების ფორმის შეცვლა განხილულ იქნას მას შემდეგ, რაც ბაღის დაცვითი ზონები დამტკიცდება."** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად, დამცავი ზონების დადგენას უზრუნველყოფს დეპარტამენტი სამინისტროსა და საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსთან ერთად და მათი ერთობლივი ბრძანებით მტკიცდება.



დენდროპარკი და ჩინეთის საელჩოს უკანა ეზო.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აი, ამ კომისიის დასკვნის დაწერას კი არ დაადგა საშველი. სამწუხაროდ, ამ საქმეში ნაკლებად ჩანს მშენებლ-არქიტექტორთა გამოკვეთილი პოზიცია, რომლებიც, როგორც ჩანს, კანცელარიასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ზეწოლას ერიდებიან. მაგრამ, თავად საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ჩინეთის საელჩოსადმი 2 ივლისს გაგზავნილ ნოტაში უკვე ნათქვამია, რომ აკრძალულია აღნიშნული სტატუსის ობიექტების გასხვისება, მაგრამ, **"სამინისტრო იმედს გამოთქვამს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები კვლავაც სანიმუშოდ მოუვლიან დენდროპარკს."** მინისტრის მოადგილე შოთა დოლონაძე, ელჩისაც და საქართველოს შესაბამის უწყებებს კვლავ იჯარის ფორმით გაცემას სთავაზობს. მართალია, შოთა დოლონაძემ "24 საათთან" საუბარში მტკიცედ თქვა, რომ **"საქართველოს ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში ქვეყნის საზიანო გადაწყვეტილებას არ მიიღებს"**, მაგრამ ისიც დაამატა, რომ ისეთი ქვეყნის უკმაყოფილება, როგორიც ჩინეთია, **"საქართველოსათვის ხელსაყრელი ნამდვილად არ იქნება."** ქართულ დიპლომატიურ კორპუსში, დიდი ხანია, ყველას მოეხსენება, რომ ერთადერთი კანდიდატურა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე სწორედ შოთა დოლონაძე იქნება.

ალბათ, ამით იყო გამოწვეული, გაზაფხულზე მიმდინარე განხილვების დროს, პრეზიდენტის მიერ ივნისში ხელმოსაწერი განკარგულების ახალი პროექტის გაჩენა - "ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსათვის ქ. თბილიში ბარნოვის ქ. №52-ში მდებარე შენობების და მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ." მასში ნათქვამია, რომ **"ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ პეკინში საქართველოს საელჩოს ადმინისტრაციული შენობის შეძენისათვის საჭირო თანხების მოზიდვის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წინადადებების განსახორციელებლად"**: უნდა მოხდეს საქართველოში ჩინეთის საელჩოსათვის **"ბარნოვის N52-ში მდებარე შენობებისა და მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება."** ხოლო **"ფინანსთა სამინისტრომ 2004 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახოს ჩინეთის საელჩოსათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებიდან მიღებული თანხები, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ბიუჯეტის საბიუჯეტო სახსრები."**

აქედან მკაფიოდ ჩანს, თუ ვისთვის რა არის ხელსაყრელი. მით უფრო, რომ 2004 წლის ბიუჯეტის პროექტში ეს თანხა ჯერ კიდევ გათვალისწინებული არ არის. ცხადია, ჩინური მილიონიდან დიდ ნაწილს ოქტომბერში "აბრეშუმის ქიები" უპირებენ საარჩევნოდ "ათვისებას".

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სისხლის სამართლის საქმე აღიძრა პარასკევს, ქსნის მეშვიდე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ნარკოტიკების შეტანის მცდელობაზე. დაკავებულია ამავე დაწესებულების თანამშრომელი, 39 წლის ლადო ჩიკაიძე. დეპარტამენტის ინფორმაციით, ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ დაკავების დროს აღმოჩენილი ნივთიერება 10-15 გრამი მარიხუანაა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შაბათს გეგუთის საერთო რეჟიმის მერვე კოლონიიდან პატიმრის გაქცევის მცდელობა აღიკვეთა. დაახლოებით, დილის 5 საათზე, გაქცევის დროს დააკავეს 21 წლის დავით ბექაური, რომელიც ქურდობისთვის სამწლიან სასჯელს იხდიდა. კოლონიის თანამშრომლებმა ბექაური აკრძალულ ზონაში დააკავეს.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური ამ საქმესთან დაკავშირებით მოკვლევას ატარებს. აგვისტოში სხვადასხვა კოლონიებიდან პატიმრის გაქცევის ოთხი შემთხვევა აღიკვეთა. სულ ბოლო თვეების განმავლობაში სასჯელაღსრულების ადგილებიდან 50 პატიმარი გაიქცა. მათი უმეტესობა სასჯელს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის იხდიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი** ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ზუგდიდის პოლიციამ ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი ელგუჯა როგავა დააკავა. ორგანიზებული ყაჩაღური ჯგუფის წევრმა, თანამზრახველებთან ერთად, გულუების ოჯახი დააყაჩაღა და ფულის გამოძალვის მიზნით, მოხუცი ცოლ-ქმარი "დააუთოვა". დაკავებულის ავტომანქანიდან და ბინიდან ნაყაჩაღარი ნივთები ამოიღეს. პოლიცია დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების დაკავებაზე მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**წყალტუბო.** სოციალური ინვესტიციების ფონდი (სიფ) წყალტუბოში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების პრინციპით, ახალ პროექტს ახორციელებს, რომლის შედეგად საკურორტო ზონაში, წარსულში ცნობილი შადრევნები ამოქმედდება.

წყალტუბოს 5 უნიკალურ შადრევანს, რომელიც გასული საუკუნის 60-70 წლებშია აშენებული, ბოლო ათწლეულში აღარ უმუშავია. სიფ-ი აღნიშნული პროექტების განხორციელებაში 7000 ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტი 2500 ლარს იხდის.

როგორც წყალტუბოს რაიონის გამგეობაში აცხადებენ, სამუშაოები, რომლებიც 2 თვეა დაწყებულია, აგვისტოს ბოლოს დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თერჯოლა.** თერჯოლაში, 2 თვის წინ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის დავით კირვალიძის მიერ გახსნილი "ფერმერთა სახლი" წარმატებულად მუშაობს. იგი თერჯოლელი გლეხების გარდა, ტყიბულის, ზესტაფონის, ბაღდათისა და ამბროლაურის რაიონის მცხოვრებლებსაც ემსახურება.

ახლახან, "ფერმერთა სახლში" საინფორმაციო ბანკი დაარსდა, სადაც ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის შესახებ მონაცემებია შესული. საინფორმაციო ბანკი უფასო კონსულტაციებს უწევს ნებისმიერ გლეხს, რომელიც "ფერმერთა სახლს" ეწვევა.

თერჯოლის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელი გურამ კუპატაძე აცხადებს, რომ თუ ადრე ვაზის შესაწამლად მხოლოდ შაბიამანი გამოიყენებოდა, ახლა, მომხმარებელს "ფერმერთა სახლში" 5 სხვადასხვა სახის პესტიციდის შეძენა შეუძლია.

"ფერმერთა სახლი" სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით დღეს სახელისუფლო ბლოკ „ახალი საქართველოსთვის" ახალგაზრდული ფრთის წევრებმა საქველმოქმედო აქცია გამართეს და ავლაბრის მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის 22 აღსაზრდელს მცხეთაში ექსკურსია მოუწყვეს.

აქციას ბლოკის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე ბექა ოდიშარია ხელმძღვანელობს. მან უპატრონო ბავშვებს „საქართველოს კონსტიტუცია" დაურიგა. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის და ჯვრის მონასტრის გარდა, მზრუნველობას მოკლებული ბავშვები სამთავროს დედათა მონასტერსაც ესტუმრნენ და მცხეთის სალობიეში ისადილეს. ბლოკის წევრებმა ჯვრის მონასტერს ელექტროგენერატორი გადასცეს საჩუქრად.

რაც შეეხება დაფინანსებას, ოდიშარიას თქმით, საქველმოქმედო აქციას სახელისუფლო ბლოკი არ აფინანსებს. მისივე თქმით, იგი „გადამხდელთა კავშირის" წევრიცაა და "თანხების მოძიების პრობლემა არა აქვს". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში მდებარე ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის მე-5 სართულზე განთავსებული დევნილთა სკოლისა და ბაღის დირექცია 600 კვ.მ სახურავის შეკეთებას ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ წლეულს სახურავის მხოლოდ ის ფართი შეკეთდა, სადაც ტექნიკუმია განთავსებული, ხოლო ფართის დანარჩენი ნაწილის აღსადგენად საჭირო ექვსი ათასი ლარის მოძიება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის შენობაში განთავსებულ დევნილთა სკოლაში 200-მდე დევნილი მოსწავლე და ბაგა-ბაღის 40-მდე აღსაზრდელი სწავლობს; აქ 40-მდე პედაგოგი მუშაობს.აფხაზეთის ლეგიტიმური განათლების სამინისტრო მოლაპარაკებებს აწარმოებს თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიასთან, რათა ამ სკოლისა და ბაღისთვის სახურავის შეკეთება შესაბამისი პროგრამის გათვალისწინებით მოხერხდეს. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ეროვნული უშიშროების საბჭო უახლოეს ხანებში სახელმწიფო მმართველობაში კრიმინალური ავტორიტეტების ჩარევის საკითხზე იმსჯელებს.

როგორც უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძე აცხადებს, კანონიერი ქურდების მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება მწვავეა და ამ ადამიანების ჩარევა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში დაუშვებელია. მისივე თქმით, ამ მიზნით მთავრობა რაიმე რეპრესიული ღონისძიების გატარებას არ გეგმავს, თუმცა, ამ ადამიანების მიერ შეწუხებული მოსახლეობის დასაცავად ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას.

გავრცელებული ინფორმაციით, საზღვარგარეთ მცხოვრები ე.წ. კანონიერი ქურდები ზოგიერთი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატის საარჩევნო კამპანიებს აფინანსებენ და ამით პარლამენტში თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გამთენიისას, კახეთის გზატკეცილზე მდებარე "ტოიოტას" ცენტრი ოთხმა შეიარაღებულმა პირმა დააყაჩაღა. 3 მათგანი პოლიციამ წუხელვე, დანაშაულის ჩადენიდან ნახევარ საათში დააკავა, ერთმა კი მიმალვა მოახერხა. როგორც ისანი-სამგორის რაიონის საგამოძიებო სამსახურში აცხადებენ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, დამნაშავეთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

პოლიციამ დამნაშავეები მაშინ დააკავა, როცა ისინი "ტოიოტას" ცენტრის დარაჯის გათოკვას აპირებდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სტრასბურგის სასამართლო, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით, 13 ჩეჩნის სარჩელების მიღება-არმიღების საკითხს 16 სექტემბერს გადაწყვეტს. როგორც ჩეჩნების ერთ-ერთი ადვოკატი მაკა ძამუკაშვილი აცხადებს, სტრასბურგის სასამართლო სექტემბერში გადაწყვეტს, განიხილოს თუ არა ჩეჩნების საქმეები. ადვოკატის განმარტებით, პროცესს საქართველოს წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დამცველი ევროსასამართლოში, ლაშა ქელიძე დაესწრება. ძამუკაშვილის თქმით, საქართველოში, გასული წლის 4 აგვისტოს დაკავებული ჩეჩენი ეროვნების 13 მოქალაქის დაკავების ოქმები, რუსეთიდან მოსული ექსტრადიციის შესახებ საბუთები და სხვა დოკუმენტები არაკანონიერად იყო მოპოვებული. ადვოკატის განმარტებით, ამ და სხვა საკითხების გათვალისწინებით, თუ სტრასბურგის სასამართლომ ჩეჩენთა სარჩელები არსებითად განიხილა, განსასჯელები მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის სახელმწიფოსაგან ფულად კომპენსაციებს მოითხოვენ. **ინტერ-პრესი**

# პარლამენტის თავმჯდომარის ლაშქრობა პრეზიდენტის სამშობლოში

პირველი გვერდიდან

შეიძლება ითქვას, რომ აქ გამართული არც ერთი შეხვედრა მეორეს არ ჰგავდა, პარლამენტის ხელმძღვანელები დაშტამპულად, ერთი ტექსტით არ საუბრობდნენ. მათ კარგად იცოდნენ, რა კატეგორიის ხალხისგან შედგებოდა აუდიტორია და, აღნიშნულის გათვალისწინებით, რწმენადაკარგული ადამიანების გამხნევებას ცდილობდნენ.

**"ადამიანები უიმედოდ არიან და ხვალინდელი დღის ნაკლებად სჯერათ. თუმცა, იმედის ნაპერწკალი მათში მაინც არსებობს და ამიტომ, არ მინდა, ამ ხალხს მოლოდინი გავუცრუო,"** – აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვედრებს არ ესწრებოდნენ, ნინო ბურჯანაძე ქვეყნის არადემოკრატიულობით ხსნის.

**"როგორი შეხედულებებიც არ უნდა ჰქონდეს პარლამენტის თავმჯდომარეს, ოპოზიციაში იქნება ის თუ ხელისუფლების მხარეზე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, უბრალოდ, ვალდებულები არიან დახვდნენ მას. ისინი უნდა მოდიოდნენ ასეთ შეხვედრებზე და ხალხის აზრს ისმენდნენ. პრეზიდენტთან ინფორმაცია რომ მიაქვთ, გლეხს 500 ლარი ყოველთვიური შემოსავალი აქვსო, ხალხთან ახლოს ყოფნის შემთხვევაში, ამას აღარ გააკეთებდნენ,"**- შენიშნავს ბურჯანაძე.

პრეზიდენტის მშობლიურ მხარეში "შეჭრილი" პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ ხალხის მიერ გამოვლენილი სიმპათია ძნელი ასახსნელი არ უნდა იყოს - ნინო ბურჯანაძეს ისინი აღიქვამენ თავაწეული, ამაყი და გაუტეხელი ქართველის მონატრებულ სიმბოლოდ, რომლისთვისაც უცხოა ძალაუფლებით ტკბობა. ოჯახის ქალი, დედა - პოლიტიკურ მხარესთან ერთად ამ რაკურსითაც იყო ნინო ბურჯანაძე წარმოჩინებული.

დასავლეთ საქართველოში სამდღიანი ტურნეთი საარჩევნო ბლოკის - "ბურჯანაძე დემოკრატები" - ლიდერები კმაყოფილები არიან. **"საარჩევნოდ ხელისუფლება ძალიან დაიმედებული ნუ იქნება. მოსახლეობას მშვენივრად ესმის რეალობა და ჩვენს მთავრობაზე უკეთეს ანალიზს აკეთებს,"** – "24 საათთან საუბრის დროს ასეთ დასკვნას აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე. მისივე თქმით, ბლოკს დაგეგმილი აქვს მთელ საქართველოში გასვლა და სხვადასხვა კუთხის მოსახლეობისთვის ბლოკის საარჩევნო პროგრამის გაცნობა.



ვახო ხაინდრავას ფოტო

*ნინო ბურჯანაძის აზრით, ხალხს უკეთ ესმის რეალობა და მთავრობაზე უკეთეს ანალიზსაც აკეთებს.*

# მთავრობა სეკვესტრის „ავარიულ" ვარიანტზე მუშაობს

პირველი გვერდიდან

განხორციელდება, რომელიც ყველა სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროში გაივლის. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თქმით, არც ერთ სამინისტროს ხარჯების შედარებით მსუბუქი შეკვეცის იმედი არ უნდა ჰქონდეს. **"შეკვეცა მხოლოდ დაცულ მუხლებს არ შეეხება",** - ისაკაძის ამ განცხადებას ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილიც ადასტურებს. ხარჯების შემცირებისგან დაცული იქნება, აგრეთვე, გაერთიანებული ენერგოსისტემის მმართველი ირლანდიური კომპანია "ი-ეს-ბი-აიც", რათა სახელმწიფოს მიერ მასთან დადებული კონტრაქტის შესრულებას საფრთხე არ დაემუქროს.

ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის ბიზნესზე ერთდროულად სამი - ფინანსთა, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ კონტროლის გამკაცრების მიუხედავად, შემოსავლების მნიშვნელოვან ზრდაზე ფიქრი მთავრობისთვის, პრაქტიკულად, აუხდენელ ოცნებად იქცა. მართალია, წინა წელთან შედარებით, შემოსავლებმა ამ სფეროდან 200 პროცენტითაც კი მოიმატა, მაგრამ ამ გზით მიღებული 1.5-2 მილიონი ლარი ხელისუფლებას დიდ შვებას მაინც ვერ მოუტანს.

"B" სცენარის დეტალები მთვრობამ სავალუტო ფონდის მისიის საქართველოს წარმომადგენლობას თავიდანვე გააცნო. უფრო მეტიც, გუშინვე ფინანსთა მინისტრის მოადგილე და სსფ-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ჯონათან დანი ამ დეტალებს ერთად ადგენდნენ. სავარაუდოდ, სსფ-ს წარმომადგენლობა უკვე შეთანხმებულ მონაცემებს ხარჯების შეკვეცის თაობაზე ვაშინგტონის შტაბბინაში გადააგზავნის და სამშაბათ-ოთხშაბათისთვის ფონდის დასკვნაც ცნობილი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი სეკვესტრს არც სამშაბათს დაამტკიცებს (რაშიც თავად მთავრობაც, თითქმის დარწმუნებულია), ფინანსთა მინისტრის სეკვესტრისმაგიერი ბრძანება, სავარაუდოდ, ამ კვირის ბოლოს გაიცემა.

# პრეზიდენტის შემოდგომა

პირველი გვერდიდან

- "ჩემი არჩევანი" - წერს, მას უყვარს ძლიერ პარტნიორებთან ურთიერთობა, რაც შინაგანი რეზერვების ამოქმედების საშუალებას აძლევს. მაგრამ არ უყვარს ძლიერი მოწინააღმდეგეები და როცა საქმე ძალაუფლებას ეხება, შეუბრალებელია. ის საქართველოში ქმნის გარემოს, სადაც ქვეყნის პირველი პირის რეალური ალტერნატივის წარმოშობის პერსპექტივა თითქმის ნულს უტოლდება.

შევარდნაძე პოლიტიკურ დაფაზე ყველას და ყველაფერს აკონტროლებს. თანამოაზრეები და ოპოზიცია მისთვის არ წარმოადგენს დიდად განსხვავებულ ცნებებს. თუ დასჭირდა, შეუძლია ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების როლები რადიკალურად შეცვალოს. მოწინააღმდეგისგან მტრის ხატის შექმნა და შემდეგ მასთან პარტნიორობა პრეზიდენტისთვის ურთიერთობის ჩვეულებრივი ნორმაა. მას თითქმის ყველას წინააღმდეგ აქვს მომზადებული კომპრომატი, რომელიც შეუძლია ხელსაყრელ დროს აამოქმედოს. ამიტომ მისი გარემოცვის მნიშვნელოვან ნაწილს არც ისე მაღალი რეპუტაციის მქონე პიროვნებები შეადგენენ. ისინი ადვილი სამართავები არიან და პრეზიდენტის ძალაუფლებას საფრთხეს ვერასოდეს შეუქმნიან.

როგორც ამერიკელი ასტროლოგი ლინდა გუდმენი წერს, შევარდნაძეს არ უყვარს, როცა ვალდებულებებით ავიწროვებენ. მისი რაიმე სახის, თუნდაც მაღალი, ფასეულობების ჩარჩოში მოქცევა შეუძლებელია. დემოკრატია მისთვის, გარკვეულწილად, მოქმედების არეალის შეზღუდვაა. დასავლური კურსის დეკლარირებას იგი, პირველ რიგში, საგარეო იმიჯის შესაქმნელად და დახმარებების მისაღებად იყენებს. დემოკრატიული ფასეულობების ქვეყანაში დამკვიდრება შევარდნაძეს იმ დოზით სჭირდება, რა დოზაც საფრთხეს არ შეუქმნის მის ძალაუფლებას.

### ძალაუფლება, როგორც არჩევანი

1992 წელს ომგადატანილ საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეს მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. მიუხედავად მისა, რომ იგი პირველი პირის რანგში ჩამოვიდა, ქვეყნის სამრთავად სერიოზული ბერკეტები არ გააჩნდა. თავის დასამკვიდრებლად მას არაორდინარული და, რიგ შემთხვევაში, ხალხის ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადაგმა მოუხდა.

საპრეზიდენტო ინსტიტუტი გამსახურდიას მმართველობის დამხობის შემდეგ დისკრედიტებული იყო. ამიტომ 1992 წლის არჩევნები უპრეცენდენტო აღმოჩნდა. ედუარდ შევარდნაძე, როგორც მომავალი პარლამენტის თავმჯდომარე, საერთო სახალხო კენჭისყრით აირჩიეს. ეს მისი ლეგიტიმურობის ხარისხს ზრდიდა და გადამწყვეტი მოქმედებებისკენ გზას უხსნიდა.

ქვეყანაში შექმნილი ანტირუსული განწყობის გასანეიტრალებლად შევარდნაძეს ზომები არ მიუღია, ასეთი მოქმედება ამ დროისათვის მეტად არაპოპულარული იყო. ძალაუფლების გასამტკიცებლად კი, იგი იძულებული იყო, იმ გარმოცვისთვის გაეწია ანგარიში, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს შეიარაღებული კრიმინალები და რომანტიკული იდეებით აღტკინებული ადამიანები შეადგენდნენ.

საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ოფიციალური მოსკოვისათვის მიულებელმა პილიტიკამ და უამრავმა შეცდომამ მძიმე შედეგები მოიტანა. ქვეყანამ აფხაზეთი შევარდნაძის, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლის მმართველობის პერიოდში დაკარგა. ამას სამოქალაქო ომის განახლება მოჰყვა და ხელისუფლებას დამხობით დაემუქრა. სახელმწიფოს მეთაური ამ მეტად უსიამოვნო პერსპექტივას რუსული ხიშტების დახამრებით გადაურჩა. ეს "გასამრჯელო" კი ქვეყანას ძვირი დაუჯდა - დაჩოქებული საქართველო დსთ-ს წევრი გახდა.

შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების პირველ წლებში ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ხელისუფლების მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას. იგი უმთავრესად სახელმწიფოს მეთაურისთვის დასაყრდენის შექმნასა და მისი ძალაუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა. ეროვნული ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელის, დემურ დვალიშვილის თვითმკვლელობა ამ პროცესის გარკვეულ დეტალებს ბურუსით მოცულს ხდიდა. თუმცა ფაქტია, რომ ჰაერიდან გაცემულმა უზომოდ დიდი რაოდენობის კრედიტებმა ქვეყნის ისედაც მწირი ფინანსური რესურსების განიავება და მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღატაკება გამოიწვია. სამაგიეროდ შევარდნაძემ, დასაყრდენის სახით, მიიღო ერთი მუჭა მდიდარი ადამიანების ფენა, რამაც მას ხელისუფლებაში მყოფი კრიმინალების წინააღმდეგ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის საშუალება მისცა.

1995 წელი შევარდნაძის მმართველობაში გარდატეხის წელი აღმოჩნდა. კონსტიტუციის მიღებამ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებამ მას განუსაზღვრელი ძალაუფლება მიანიჭა.

### საეტაპო ათწლედი

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 თავი უშუალოდ ერთი პიროვნებისთვის დაიწერა. ამრიკული მოდელის საფუძვლად აღების მოტივით, საქართველოს პრეზიდენტს როგორც ქვეყნის და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, განუსაზღვრელი უფლებები მიენიჭა. ამასთან, გართულებული, თითქმის სიმბოლური იმპიჩმენტის პროცედურა ქვეყნის პირველ პირს ხელშეუხებელ ხდიდა. 1995 წლის შემდეგ, პრეზიდენტს, ხალხის ნდობისა და ძლიერი ხელისუფლების გარდა, ყველა პირობა გააჩნდა იმისთვის, რომ რეალურად გაეტარებინა ეკონომიკური რეფორმა და ქვეყანა კრიზისიდან გამოეყვანა.

ეკონომიკური განვითარების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად იმთავითვე არასწორი საგადასახადო პოლიტიკა იქცა. მაღალი საგადასახადო ტარიფების დაკანონებას ჯერ კიდევ 1992-95 წლების მოწვევის პარლამენტში ჩაეყარა საფუძველი. ეს ტენდენცია შემდგომში საგადასახადო კოდექსის მიღებამაც გაამყარა. შედეგად მეწარმეების ერთმა ნაწილმა საქმიანობა შეწყვიტა, ნაწილი კი ე.წ. "კრიშების" ქვეშ აღმოჩნდა. ამ პროცესმა ხელი შეუწყო მომგებიანი დარგების ხელისუფლებასთან შეზრდილი კლანების ხელში გადასვლას. ამავე დროს, საგადასახადო სფეროში კორუფციისთვის ნოყიერი ნიადაგი გაჩნდა. გადასახადების დიდმა ნაწილმა ჩინოვნიკების ჯიბეში იწყო გადასვლა და ნელნელა ჩამოყალიბდა მყარი კორუფციული სისტემა, რაც საბიუჯეტო ვალდებულებების შესრულების მთავარ ბარიერს წარმოადგენს.

შევარდნაძემ, ეკონომიკური რეფორმის გატარების პარალელურად, დეკლარაციული ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას. შემდეგ კი დაახლოებით 70-იანი წლების სურათი მივიღეთ. აღმასრულებელ ხელისუფლებაში შეიქმნა კარგად აწყობილი კორუფციული პირამიდა, რაც ქართული პოლიტიკის ორგანულ მახასიათებლად იქცა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული თანამდებობებისთვის "სტავკის" გადახდა არა კორუფციულ გამოვლინებად, არამედ აუცილებელ წესად და თავისთავად აღმასრულებელი ხელისუფლების მანკიერი პირამიდის შენარჩუნების საფუძვლეია. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ის არგუმენტი, რომ ქრთამის აღებისათვის შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში არავინ დასჯილა.

1998 წლის ზაფხულიდან მთავრობამ ხელიდან გაუშვა საბიუჯეტო პროცესის სადავეები და მათ თავმოყრას დღემდე ვერ ახერხებს. ეკონომიკური რეფორმის წარმატებით გატარების შემთხვევაში კი ხელისუფლებას კომპლექსური ღონისძიებებისთვის უნდა მიემართა, რითიც, პირველ რიგში, ბიზნესის განვითარებისთვის შექმნიდა ხელსაყრელ პირობებს. რეალური საგადასახადო ტარიფები, გამჭირვალე საგადასახადო ადმინისტრირება, ხელისუფლებასთან შეზრდილი ბიზნესის გამოცალკევება, ადგილობრივი წარმოების დაცვა - აი, იმ ღონისძიებების არასრული ჩამონათვალი, რომელიც, სხვა კომპლექსურ ქმედებებთან ერთად, არ გატარებულა.

ეკონომიკური რეფორმის სწორად წარმართვა არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობდა, რაც, გარკვეულწილად, ხელისუფლების პოზიციების შესუსტებას გამოიწვევდა. ძნელი სათქმელია, საქართველოს პრეზიდენტი ამ შემთხვევაში საკუთარ ძალაუფლებას გაუფრთხილდა თუ გარემოცვის ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდა. ფაქტი კი ერთია - ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგად, ქვეყანამ ხელიდან გაუშვა ეკონომიკური წინსვლის შანსი. ამ ფაქტორმა კი შევარდნაძის საპრეზიდენტო მოღვაწეობის უფერულ დასასრულს ჩაუყარა საფუძველი.

### შევარდნაძე წასვლას არ აპირებს?

საქართველოს პირველ პირს პრეზიდენტობის მეორე ვადა 2005 წლის გაზაფხულზე ეწურება. ეს ფაქტი პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. ზოგიერთმა პარტიულმა ლიდერმა ქვეყნის პირველი პირის სავარძლის მოსაპოვებლად მზადება ნაადრევადაც კი დაიწყო. ზოგიერთი პოლიტიკოსი კი მომლოდინე პოზიციას იკავებს და პრეზიდენტის მხრიდან ამ კუთხით აზრის დაფიქსირებას ელის. შევარდნაძე კი ჯერჯერობით კარტებს არ ხსნის.

საზოგადოების ერთ ნაწილში გაჩნდა მოსაზრება, თითქოს შევარდნაძეს პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ საკუთარი ნათესავების ბიზნესის ხელშეუხებლობისთვის გარანტიები სჭირდება. ასეთი მიდგომა ქვეყნის პირველი პირის მნიშვნელობას აკნინებს. უფრო ლოგიკურია მოსაზრება, რომელიც საქართველოში დაახლოებით რუსული ვარიანტის გამეორებას გულისხმობს - ანუ შევარდნაძე პრეზიდენტობის კანდიდატს "მოამზადებს" და არჩევნების შემდეგ უფლებამოსილებას გადააბარებს. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის მართვის ძირითადი ბერკეტები კვლავ მას დარჩება და იგი საქართველოს მასშტაბით დენ სიაპონის როლს შეასრულებს. მოვლენების ასეთი განვითარება ლოგიკას მოკლებული ნამდვილად არ არის, თუმცა რეალობა სხვაგვარი დასკვნების საშუალებასაც იძლევა.

შევარდნაძის გარემოცვის მხრიდან ამერიკის ელჩის მისამართით, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის გამო, გამოთქმული უარყოფითი პოზიცია, საარჩევნო კომისიებში ადგილების გადანაწილების ბეიკერის ვარიანტის მიუღებლობა და რევერანსები რუსეთის მიმართ, ქართულ პოლიტიკაში ახალ ტენდენციაზე მიანიშნებს. თუ პრეზიდენტის ბოლოდროინდელ ქმედებებს ისევ ძალაუფლების შენარჩუნების კუთხით შევხედავთ, ამ ბურუსით მოცულ სიტუაციაში გარკვეულ ლოგიკურ წერტილებს დავინახავთ.

სავარაუდოა, რომ შევარდნაძის გაღიზიანება დასავლეთის მიმართ, პირველ რიგში, ბეიკერის რეკომენდაციებით იყო გამოწვეული. არჩევნების სამართლიანი ფორმით ჩატარებით მას, ფაქტობრივად, ხელისუფლებიდან ხავერდოვანი წასვლა შესთავაზეს. ჩნდება ლოგიკური ეჭვი, რომ შევარდნაძემ შეერთებული შტატებისგან სამომავლოდ ძალაუფლების შენარჩუნების საკმარისი გარანტიები ვერ მიიღო და კომპენსაციისთვის მან ჩრდილოელ მეზობელს მიმართა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ორიოდე თვის წინ მან გაღიზიანება ვერ დაფარა ერთ-ერთი პარტიის სარეკლამო რგოლის მიმართ, რომელშიც აღმშენებლობის 900 დღე ფიგურირებს. პრეზიდენტი პირდაპირ აცხადებს, რომ 900 დღე აცალონ და ისიც შეძლებს ამ პარტიის მიერ დასახული მიზნების შესრულებას. ეს მოსაზრება, ალბათ, შემთხვევით არ გამოთქმულა. ქართულ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები, სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ შევარდნაძე მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ დიდი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

ქართული ენერგეტიკის ობიექტების რუსეთის ენერგოკომპანიების ხელში გადასვლა ვლადიმირ პუტინის წინასაარჩევნო კამპანიას უკავშირდება. როგორც ქართულ მასმედიაში არაერთხელ გაიჟღერა, ამ დათმობის სამაგიეროდ, ალბათ, რუსეთი ქმედით ნაბიჯებს გადადგამს აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად. თუ მოვლენები ამ კუთხით განვითარდა, აფხაზეთის საკითხში თუნდაც მცირეოდენი წინსვლა შევარდნაძეს ხელისუფლების სათავეში დასარჩენად მნიშვნელოვან კოზირს მისცემს.

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ამასწინათ განაცხადა, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღების საკითხი მომავალმა პარლამენტმა უნდა განიხილოს. მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ შევარდნაძემ შესაბამისი პროექტის საფუძვლად არა რუსეთის ან საფრანგეთის, არამედ ისრაელის მოდელი აირჩიოს და საქართველო საპრეზიდენტო მმართველობიდან საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადავიდეს. თუ ასეთი სახის კანონს პარლამენტი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაამტკიცებს, შევარდნაძეს შანსი მიეცემა კვლავ ქვეყნის პირველი პირის, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებული პრემიერ-მინისტრის სკამის მაძიებლის როლში მოგვევლინოს.

■ ■ ■

დღეს შევარდნაძის პოლიტიკა ქვეყნის მრავალი ინტერესის იგნორირების ფონზე იქმნება. ხელისუფალის უზენაესობა კანონის უზენაესობით უნდა შეიცვალოს. საქართველოს ახალი თაობის ლიდერი სჭირდება.

## პრესომბუდსმენი

# მომავალ ორშაბათამდე

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით.
ტელ.: 20 24 24
ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

**ნოდარ ლადარია**

სრულიად საქართველო რუისურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავს ზეიმობს! — ეს ისე, სიტყვის მასალად, თორემ ინიციატივა აშკარად ზემოდან მოდის, საპატრიარქოდან და მთავრობიდან, თანაც საზეიმო სხდომებისა და მსგავსი ნომენკლატურული ღონისძიებების ჩვეულ ფორმატში წარიმართება. რას იზამ, ასეთია ჩვენი ეროვნული სულიერობის ურყევი ხასიათი: მეფის, ანუ საერო ხელისუფლების ნება რომ არა, არც ის დალოცვილი კრება არ გაიმართებოდა. აკი მსგავსი მნიშვნელობის მოვლენა მის შემდეგ 900 წლის განმავლობაში არც გვღირსებია. არა, იქნებ ყოფილა კიდეც, მაგრამ ჩვენ არ შეგვიფასებია და ვერ მივმხვდარვართ? ყოველ შემთხვევაში 900 წელი საკმაო ხანია იმისათვის, რომ ამ დროითი უფსკრულის გადაღმა ყოველგვარი პასუხისმგებლობა საკმაოდ გახუნდეს, დასუსტდეს და, მაგალითად, ასეთი განცხადებების საფუძველი მისცეს ქვეყნის პრეზიდენტს: "**დავით აღმაშენებელი იმ ეპოქაშიც ახალ საქართველოს აფუძნებდა... ჩვენ კვლავ ვაფუძნებთ ახალ საქართველოს, სულ სხვა სოციალური შინაარსის მქონეს, თუმცა, მას მსგავსი სახელმწიფოებრივი იმპერატივი აქვს**" (20.08, **ვერიკო თევზაძე**, *პრეზიდენტის პარალელები*).

არ ვიცი, როგორ გაიგეს 17 აგვისტოს გორის თეატრში შეკრებილებმა ეს ორი სიტყვა, "სახელმწიფოებრივი იმპერატივი" — რა იცი, რა უცხო-უცხო ცნებებითა აქვს თავი დატვირთული ბუშისა და გენშერის მეგობარს. ჯობია არც იფიქრო ამაზე! მაგრამ ჩვენ კი უნდა ვიფიქროთ...

ამ ბოლო დროს საქმე ისე წავიდა, რომ ვინმე პარანოიკი ალბათ იმას იფიქრებს, შევარდნაძის ირგვლივ, უახლოეს გარემოცვაში ნამდვილად რაღაც ფრთხილი და გაუბედავი შეთქმულება მწიფდება. ჯერ ერთი, პრეზიდენტი სულ უფრო ხშირად სრულიად მოუმზადებელი ჩნდება საჯარო გამოსვლებზე. არ ვიცი, რამდენად გამართლებულია მის ასაკში მხოლოდ საკუთარ ორატორულ ნიჭზე დაყრდნობა (ამ მხრივ იგი არასოდეს ყოფილა ძალიან შთამბეჭდავი), მაგრამ ნამდვილად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პრეზიდენტს უბრალო რეფერენტიც კი არა ჰყავს. გავიხსენოთ თუნდაც ურეკში წარმოთქმული ხანგრძლივი აბდაუბდა, რომელსაც ვერც "ხალხისათვის მარტივად" ლაპარაკის ჟანრს მიკუთვნება იხსნის. მაგრამ ისევ ჩვენს გაზეთს მივმართოთ...

აი, კვლავ ვერიკო თევზაძის სტატია, *მეფე (პრეზიდენტი) შიშველია* (21.08): "გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის სხდომაზე ბრძანა: "**ევროსაბჭოს მოთხოვნა რომ არ ყოფილიყო, საქართველოში დახვრეტა, უმაღლესი ზომა სასჯელისა არ უნდა გაუქმებულიყო". პოლიტოლოგებისა და იურისტების აზრით, ქვეყნის პრეზიდენტი თავს ვერ აკონტროლებს**". კონკრეტულად რაში ვერ აკონტროლებს თავს? მართლაც რომ in senectute veritas — სიბერეში ჭეშმარიტებაა. მაგრამ ეს ჭეშმარიტება სულაც არ გვანუგეშებს, თუმცა კი ყოველთვის ვგრძნობდით მას: უპირველეს ყოვლისა, შევარდნაძემ აღიარა, რომ არასოდეს იყო შინაგანად რაიმე ადამიანური ღირებულების მატარებელი, რომ სწორედ შინაგანი ზნეობრივი იმპერატივი არ გააჩნდა. თურმე ევროსაბჭოსთან ურთიერთობა რაღაც გაუგებარი მიზნების მისაღწევი გარეგანი ხერხი ყოფილა, საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ნათქვამი ყოველი სიტყვა კი სიცრუე იყო.

აქ კი მართებულია შეკითხვა: მაგალითად, ძელზე გასმა და თვალების დათხრა შევარდნაძისა და დავით აღმაშენებლის საქართველოების მსგავს "სახელმწიფოებრივ იმპერატივში" შედის, თუ "სულ სხვა სოციალურ შინაარსს" უნდა მივაწეროთ? ერთი რამ კი ნამდვილად აშკარაა, შევარდნაძის გაქანების კაცს ნამდვილად არ ყოფნის ჩვენი ქვეყნის მოკრძალებული ზომები (21.08, **ლელა მჭედლიძე**, *ციმბირის ნოსტალგია*): "**ადრე 200-250 დამნაშავეს მაინც გზავნიდნენ ხოლმე ციმბირში. ახლა ყველა აქ იხდის სასჯელს, თანაც ისე, რომ არც სცივათ და არც სწყურიათ, მგონი, სხვაზე კარგადაც არიან**". ესეც ასე — პრეზიდენტმა თავისი ფსონი ადამიანის სულში ჩაბუდებულ ცხოველურ აგრესიაზე დადო. სხვა გზა, როგორც ეტყობა, აღარ დარჩა.

აგრესია კი კეთილშობილებით განთქმულ ქართველებშიც უხვადაა. აი, ვნახოთ: 18.08, **ხათუნა ჯანგირაშვილი**, *სააკაშვილის ხმაურიანი ვოიაჟი ზუგდიდში*. მოკლედ, საქმე ასე იყო: "ნაციონალები" ზუგდიდში ჩავიდნენ შეხვედრის ჩასატარებლად, გზად "მოქკავშირის", "აბრეშუმის გზისა" და ყრუ-მუნჯთა საზოგადოების წევრები დახვდნენ და საათნახევრიანი (!) ხელჩართული ჩხუბი გაუმართეს: "**მიშა ზუგდიდში შესვლას მხოლოდ ჩვენი ცხედრების გადაბიჯებით შეძლებს**". ჰმ, მიშა! — ესეც ჩვეული ქართული ალერსიანობა. როგორ უნდა იყო სასოწარკვეთილი, როგორ უნდა გეშინოდეს რაღაცის, რომ ადამიანებს საკუთარი ქვეყნის ფარგლებში გადაადგილება ასეთი ხერხებით აუკრძალო! თან ეს ყოველივე შეერთებულია უკიდურეს გულჩვილობასთან: თურმე ცემა-ტყეპის მიზეზი ის იყო, რომ სააკაშვილმა ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში "**თავს უფლება მისცა, შეურაცხმყოფელი განცხადებები გაეკეთებინა ზუგდიდში მცხოვრები ყრუ-მუნჯების მისამართით**". არავის აწყენინოთ, მეგობრებო, გზაზე დაგხვდებიან! ასეთივე გულჩვილები არიან, მაგალითად, მორწმუნე ექსტრემისტები: სინდისის თავისუფლება და რჯულშემწყნარებლობა მათ უფაქიზეს ინტიმურ გრძნობებს შეურაცხყოფს. არიქა, რწმენას გვართმევენ! — ყვირიან ისინი და მწყობრად მიემართებიან ვინმეს დასარბევად. ამაში ადვილად ცნობ რუსი მცირეწლოვანი კრიმინალების, ე. წ. "შპანას" ქცევას: "ბიძია, ბიძია, არ მაწყენინო, ობოლი ვარ!" —კრუსუნებს ამგვარი არამზადა და იმწამსვე ხელში ჭრელსახელურიანი ფინური დანა ჩნდება. კიდევ ერთი წამი და "ბიძიაც" ხროტინებს და საეჭვოდ იკიდებს ხელს გვერდზე. საინტერესოა, რატომ გვახარბებს შევარდნაძე ამ "სულ სხვა სოციალურ შინაარსს"? როგორ უნდა განახორციელოს 900 წლის წინანდელისგან განსხვავებული "სოციალური შინაარსი", როცა ამგვარი მხარდამჭერები ჰყავს?

აი, ჟვანიაც მეთორმეტე საუკუნეს დაჰპირდა ხალხს. ვინ გაარკვევს, რა უდევს ამ დაპირებებს საფუძვლად — ქართველების ისტორიისადმი მოწიწება, თუ მათი აქტუალური ველურობა? ეს ისეთივე ძნელი გასარკვევია, როგორც შემდეგი საკითხი: პროფკავშირები მშრომელთა უფლებებს იცავენ, თუ "მრეწველთა" პარტიას ერჩოლებიან? (20.08, **დალი კუპრავა**, *ლუდი სანაგვეში*). ამისათვის, ალბათ უნდა გავარკვიოთ, როგორ წარმოიშვა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება და ვინ შეადგენს მას. ეს კი საქართველოში ყოველთვის საიდუმლოდ დარჩება, ისევე, როგორც კორუმპირებულ სახელმწიფო ვინაობა (იხ. 18.08). ასეთი რუდუნებით ჩვენში ხომ სახელმწიფო საიდუმლოებებსაც არ ინახავენ, ან რა სახელმწიფო საიდუმლოება, საერთოდ, რანაირი ცხოვრება შეიძლება იყოს ქვეყანაში, რომლის "სახელმწიფოებრივი იმპერატივი" 900 წლის განმავლობაში არ შეცვლილა?

# ესპანეთში დაპატიმრებული გემის ეკიპაჟის ქართველმა წევრებმა შიმშილობა დაიწყეს

*ესპანეთის გაზეთ "ლევანტეს" ინფორმაციით, ესპანეთში, კასტელიონის პორტში დაპატიმრებული სავაჭრო გემის "ჯაზინ-1"-ის ეკიპაჟის 9 ქართველმა წევრმა შიმშილობა გამოაცხადა. გაზეთის ცნობით, ხომალდის ეკიპაჟი, რომელიც იამაიკის დროშის ქვეშ დაცურავდა და რომელიც ესპანეთის ხელისუფლებამ 2003 წლის 9 ივნისს დააპატიმრა, ამ აქციით ყურადღების მიქცევას ცდილობს.*

გაზეთი წერს, რომ ჯერ კიდევ 1998 წელს, როცა ხომალდ "ჯაზინ-1"-ს სხვა პატრონი და სხვა ეკიპაჟი ჰყავდა, ესპანეთის ხელისუფლებამ დააჯარიმა, რადგან ბრალი დასდო თამბაქოს კონტრაბანდაში. მიუხედავად ამისა, ხომალდი ზღვაში მაინც გავიდა.

ამჯერად, როცა ავტომობილებით დატვირთული ხომალდი ალჟირიდან კასტელიონში შევიდა, იგი დააპატიმრეს და ესპანეთის საკუთრებად გამოაცხადეს.

"ჯაზინ-1"-ის მფლობელმა განაცხადა, რომ გემის ადრინდელი დაპატიმრების შესახებ არაფერი იცოდა და თავი ბანკროტად გამოაცხადა. გემის ეკიპაჟის ქართველი წევრები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, მათ სამშობლოში დასაბრუნებელი ფინანსები არ გააჩნიათ. სწორედ ამიტომაც, ისინი იძულებული გახდნენ შიმშილობის აქციისთვის მიემართათ. მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულებულია, ერთი მოშიმშილე საავადმყოფოშია გადაყვანილი.

**"საქართველოს მხარე ესპანეთში, კასტელონის პორტში დაპატიმრებული სავაჭრო გემის "ჯაზინ-1"-ის ქართული ეკიპაჟის 9 წევრის დახმარებას არ აპირებს, რადგან გემის ეკიპაჟი საქართველოს არც ერთი დაწესებულებიდან არ არის წასული. მათ კონტრაქტი გემის მფლობელთან აქვთ გაფორმებული, რაც საქართველოს მხარეს ყველანაირი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს, დახმარება კი მათ "ჯაზინ 1"-ის მფლობელმა უნდა გაუწიოს,"** – განაცხადა საქართველოს საზღვაო-სანაოსნოს ხელმძღვანელმა დურსუნ ცინცაძემ.

საქართველოს საზღვაო-სანაოსნო ეკიპაჟის წევრების ვინაობის დადგენაზე მუშაობს და არკვევს, თუ საიდან წავიდნენ მეზღვაურები - ბათუმიდან, ფოთიდან, რუსთავიდან თუ ქუთაისიდან.

*24 საათი*

# ოლიგარქებზე ნადირობა გრძელდება

პირველი გვერდიდან


ვლადიმირ გუსინსკი უქმეების გასვლას ელოდება.

**"თავად პუტინმა და მისი გარემოცვის წევრებმა, კგბ-ს ყოფილმა აგენტებმა, დაიწყეს შეტევა ოლიგარქების წინააღმდეგ,"** – აცხადებს ფრანგული გაზეთი "Le Temps" და შექმნილი სიტუაციის ანალიზს აკეთებს. გაზეთის მიმომხილველის აზრით, პუტინის ხელისუფლება ებრძვის წლების წინ ბორის ელცინის გარშემო შექმნილ ოლიგარქთა დიდ "ოჯახს": **"ოლიგარქები – ბერეზოვსკი, გუსინსკი, ხოდორკოვსკი და აბრამოვიჩი აფინანსებდნენ პოლიტიკოსებს ელცინის კლანიდან, სამაგიეროდ, სერიოზული პრივილეგიები ჰქონდათ მინიჭებული. ოლიგარქთა ოჯახს ხელთ ეპყრო – მთელი ხელისუფლება, ეკონომიკა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. თუმცა, ელცინის შემცვლელის შერჩევისას, "ოჯახმა" დიდი შეცდომა დაუშვა, როცა სინათლეზე გამოიყვანა პუტინი, რომელმაც თავისი გარემოცვა სამხედროებით, კგბ-ს ყოფილი თანამშრომლებითა და პილიციელებით გაამაგრა."** გაზეთის აზრით, ოლიგარქების წინააღმდეგ დაწყებული ომი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია. პუტინი და მისი გარემოცვა იმ რუს ოლიგარქთა განადგურებასა და მათი უზარმაზარი ფინანსური ბერკეტების ხელში ჩაგდებას ცდილობენ, რომლებიც რუსეთში ოპოზიციურ პარტიებს აფინანსებენ. გაზეთის ვარაუდით, ნადირობა ოლიგარქებზე 2004 წლის მარტამდე გაგრძელდება.

ათენის აეროპორტში დაკავებული გუსინსკი დღეს სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარდგება, სადაც მისი გათავისუფლების საკითხი გადაწყდება.

# "გუსინსკის ურჩევნია, ფული დააბრუნოს!"

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

რუსი მედია-მაგნატის ვლადიმირ გუსინსკის ათენში დაპატიმრების ფაქტს მოსკოვის პოლიტიკური ელიტა ერთსულოვანი აღფრთოვანებით შეხვდა. მოსკოვში 24 აგვისტოს ოფიციალურად ჩამოყალიბებულ სახალხო-პატრიოტულ ალიანსში შემავალი პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენლებმა უკლებლივ ყველა ოლიგარქის განსასჯელის სკამზე დასმა იწინასწარმეტყველეს, თუმცა იმასაც ანგარიშს უწევენ, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურის საბოლოო გამარჯვებამდე, ანუ მაგნატის მოსკოვში ჩამოყვანამდე, წინ სასამართლო პროცესებია, რაც, არავინ იცის, კრემლის გამარჯვებით დასრულდება თუ არა. ამის მიუხედავად, კრემლის პატარა გამარჯვებაზე მოსკოვის მედია-წრეებში უკვე ალაპარაკდნენ. წინსააარჩევნოდ ხელისუფლების პარტიამ "ედინაია როსიამ", რომელსაც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის გრიზლოვი ხელმძღვანელობს, კარგი საჩუქარი მიიღო. მოსკოვში ამბობენ იმასაც, რომ გუსინსკის მოსკოვში ექსტრადიციას რუსეთის მზარდმა საერთაშორისო იმიჯმა შეიძლება ვერ უშველოს.

გთავაზობთ გუსინკის დაპატიმრების ფაქტზე პირველ პოლიტიკურ განცხადებებს, რომლებიც ამ დღეებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორუმზე გაკეთდა.

გენადი ზიუგანოვი: **"მათ ავიწყდებათ, რომ რუსეთი ის ძველი რუსეთი აღარაა. რუსეთის სახალხო-პატრიოტული ძალები რუსეთიდან გაზიდული მილიარდობით დოლარის უკანონოდ მითვისებას არავის აპატიებენ. აქ საუბარი არაა მედია-ბიზნესმენებზე და შოუმენებზე, არც - ქურდებთან ბრძოლის უნიკალურ მექანიზმებზე. ჩვენი ხელისუფლება დღემდე ყველაფერს აკეთებდა საერთო–სახალხო ქონების დასანიავებლად. ჩვენ ან დავიბრუნებთ დაკარგულს, ან საკუთარ კაპიტულაციაზე მოვაწერთ ხელს".**

დიმიტრი როგოზინი: **"მომავალ საპარლამენტო არჩევნებში სახალხო-პატრიოტული ძალების გარდაუვალი გამარჯვება რუსეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში მოკალათებული ოლიგარქიული სტრუქტურებისათვის სიკვდილის ტოლფასია. დღეს ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთში ოლიგარქთა ამბოხებასთან, რასაც ჩვენი კორუმპირებული ხელისუფლება წინ ვერაფრით აღუდგა. ვლადიმირ გუსინსკის დაპატიმრება - ამ პროცესში დასავლეთის მხარდაჭერაა. ჩვენ არამარტო ბერეზოვსკისა და გუსინსკის მიერ ქვეყნიდან გაზიდულ კაპიტალს დავიბრუნებთ, არამედ ჩვენს რუსეთსაც დავიბრუნებთ. გუსინსკი ქურდია, ისევე, როგორც ბერეზოვსკი. ქურდების ადგილი კი ლეფორტოვოშია".**

რუსეთში სამამულო ოლიგარქთა თავისებურებებზე საუბრისას, ვლადიმირ გუსინსკის მედია-დამსახურებებიც არ ავიწყდებათ. მოსკოვის ჟურნალისტური წრეები სინანულით აღნიშნავენ, რომ რუსეთში საბოლოოდ დასამარებული თავისუფალი პრესისა და ჭეშმარიტად დამოუკიდებელი ტელევიზიის სათავეებთან იდგა კაცი, რომელმაც რუსულ ტელევიზიას ბევრი სიკეთე და გამარჯვება მოუტანა. ისინი იმედოვნებენ, რომ ექსტრადიცია სახელმწიფოს უფლებაა და არა მოვალეობა. თანაც, საერთაშორისო ნორმების თანახმად, პოლიტიკური დევნილების სამშობლოში ექსტრადირება წესი არ არის. შეიძლება რუს მედია-მაგნატს ეს საერთაშორისო ნორმაც შეეწიოს.

# ერაყში დაძაბულობა პიკს აღწევს

ლევან ღირსიაშვილი

ერაყში მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვას, შაბათს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ვრცელი კომენტარი გაუკეთა. მისი თქმით, ერაყში აშშ-ს შეიარაღებულ ძალებს და მათ მოკავშირეებს მალე სხვა ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები შეუერთდებიან, რომლებიც **"ანგლო-ამერიკულ ძალებს ტერორიზმთან ბრძოლის გაგრძელებაში დაეხმარებიან."**

პრეზიდენტის განცხადებით, ერაყში **"ალ-ქაიდას ტიპის მებრძოლები სხვადასხვა გზებით შედიან, თუმცა**, - დასძინა თეთრი სახლის მეთაურმა, - **ეს აშშ-ს ერთხელ არჩეული გზიდან ვერ გადაახვევინებს."**

აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ის გაერო-სთან ერთობლივ მუშაობას წარმართავს, რათა ერაყში ამერიკელების მოქმედების დასახმარებლად საერთაშორისო მხარდაჭერის ფართო ბაზა შეიქმნას. ამასთან ერთად, მან არ დააკონკრეტა, აშშ ერაყის მართვაზე აღებულ პასუხისმგებლობას გაერო-ს უწილადებს თუ არა.

ბაღდადში გაერო-ს შტაბბინის აფეთქების შემდეგ, ლონდონმა და ვაშინგტონმა გაერო-ში რეზოლუციის ახალი პროექტი შეიტანეს, რომელიც ერაყში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის გაფართოებას ითვალისწინებს. პროექტის მიხედვით, ერაყში წესრიგის დამყარებაში მონაწილეობა სხვა ქვეყნებმაც უნდა მიიღონ. თუმცა, გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა განაცხადა, რომ ამ ამოცანის შესრულება საკმაოდ დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, თუკი ამერიკელები გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საშუალებას არ მისცემენ, ომისშემდგომი ერაყის მართვის საკითხებში უფრო აქტიურად ჩაერთონ.

ერაყში გაერო-ს როლის გაძლიერებას მხარს უჭერენ გერმანიის, საფრანგეთის და რუსეთის მთავრობები. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ეს ქვეყანა ერაყში საკუთარი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნას არ აპირებს. ამდენად, როგორც დამკვირვებლები აღნიშნავენ, ვაშინგტონის და ლონდონის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტის დამტკიცება გზას გაუხსნის ერაყში ისეთი ქვეყნების არმიების გაგზავნას, როგორებიც პაკისტანი, ინდოეთი და თურქეთია.

**"ჩვენ მოხარულნი ვიქნებით, თუკი ერაყში უცხო ქვეყნების ჯარები გაემართებიან,"** - განაცხადა ბუშმა.

ცხადია, ბუშის ამ ინიციატივას ერაყში მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვა დაედო საფუძვლად, რომელმაც თავის პიკს ბაღდადში გაერო-ს შტაბ-ბინის აფეთქებით მიაღწია, რასაც თავად გაერო-ს მისიის ხელმძღვანელის სიცოცხლე შეეწირა.

**"ისინი, ვისაც ეჯავრება თავისუფლება, ჩვენ მიერ აღდგენილ ინფრასტრუქტურას ანგრევენ. ამიტომ, თუკი ამ ობიექტების დასაცავად უფრო მეტი ხალხი იქნება გაგზავნილი, ჩვენს ქვედანაყოფებს გაუთავისუფლდებათ ხელები, რათა მტერზე უფრო აქტიურად ინადირონ,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

სააგენტო "ბიბისის" ცნობით, ერაყში ჯარების გაგზავნის სურვილი უკვე მრავალმა ქვეყანამ გამოთქვა.

ამასობაში კი, კრიტიკული მდგომარეობა ერაყში, მართლაც, პიკს აღწევს. გუშინ ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქ ბასრაში უცნობმა ერაყელმა პარტიზანებმა სამი ბრიტანელი ჯარისკაცი მოკლეს, ხოლო ერთი მძიმედ დაიჭრა.

გარდა ამისა, ერაყის ჩრდილოეთში ეთნიკურმა დაძაბულობამაც იფეთქა. გუშინ კირკუკში, ადგილობრივ ქურთებსა და თურქომან დაჯგუფებებს შორის მძიმე ბრძოლები გაიმართა. როგორც ცნობილია, კირკუკს აშშ-ს მიერ დანიშნული ქურთი ეროვნების მერი მართავს, რაც თურქომანი ეროვნული უმცირესობის გაღიზიანებას იწვევს. ისინი აცხადებენ, რომ მათ მეტი უფლებების მიღება სურთ.

თურქულმა პრესამ კი, მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით, უკვე სკანდალი ატეხა და ქურთული "პეშმერგას" მებრძოლები სისხლისღვრის პროვოცირებაში დაადანაშაულა. ოფიციალურ ანკარას ჯერ განცხადება არ გაუკეთებია.

ამჟამად ერაყში 28 ქვეყნის სამშვიდობო ჯარები იმყოფებიან. ესენია: ალბანეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ჩეხეთი, დანია, დომინიკანელთა რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ესტონეთი, საქართველო, ჰონდურასი, უნგრეთი, იტალია, ყაზახეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მონღოლეთი, ჰოლანდია, ნიკარაგუა, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სამხრეთ კორეა, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ და უკრაინა

# ამბოხებული მოსამართლე და კანონის უზენაესობა

პირველი გვერდიდან

რასაც იგი ვერ შეძლებდა ღიად "ღმერთის არსებობის აღიარების გარეშე". ფედერალური სასამართლოს მოსამართლეს კი, ვინც მას მონუმენტის აღება უბრძანა, როი მურმა ბრალი დასდო "კანონსა და ღმერთზე მაღლა საკუთარი თავის დაყენებაში." ფედერალურმა მოსამართლემ ალაბამის შტატს მისი ბრძანების შეუსრულებელი ყოველი დღისათვის 5000 დოლარიანი ჯარიმა დაუწესა, რომელიც ერთ კვირაში გაორმაგდებოდა.

როი მურმა შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს ფედერალური სასამართლოს განაჩენის გაუქმების თხოვნით მიმართა. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ეს თხოვნა სარჩელის მიღების მომდევნო დღესვე (ანუ გასული კვირის ხუთშაბათს) უარყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვის მონუმენტის აღების ბრძანება ძალაში რჩება.

მოსამართლე მურის მხარდამჭერებმა განაცხადეს, რომ ყველანაირად ხელს შეუშლიან ათი მცნების სხვა ადგილას გადატანას და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოუწოდეს ყველა ქრისტიანს, ჩამოსულიყვნენ ალაბამის დედაქალაქ მონტგომერიში, რადგანაც, მათი სიტყვით, სანამ აქ ვიდგებით, ამ მონუმენტს ვერავინ დაძრავსო.

აღსანიშნავია ფაქტი, რომ ალაბამას შტატის უზენაესი სასამართლოს დანარჩენი რვა მოსამართლე, გარდა თავმჯდომარე როი მურისა ემორჩილება ფედერალური სასამართლოს ბრძანებას და მონუმენტის გადატანაზე თანხმობას აცხადებს. "ჩვენ დადებული გვაქვს ფიცი, რომ დავიცავთ კანონს, მიუხედავად იმისა, ვეთანხმებით მას თუ არა", - ამბობენ ისინი. მაგრამ პროტესტის გამოსახატავად შეკრებილი მოქალაქენი აცხადებენ, რომ გზას გადაუღობავენ მონუმენტის დემონტაჟისთვის აუცილებელი მანქანებისა და ინსტრუმენტების ადგილზე მიტანას. ოცდაერთი დემონსტრანტი, რომლებმაც, პოლიციის გაფრთხილების მიუხედავად, სასამართლოს შენობაში შეაღწია, დააპატიმრეს.

მოსარჩელეების, ამერიკის სამოქალაქო უფლებების კავშირისა და სახელმწიფოსა და ეკლესიის განცალკევების კავშირის ადვოკატმა, რიჩარდ კოენმა მოსამართლე მურის წინააღმდეგ სასამართლოს უპატივცემულობის ბრალდების შემცავი სარჩელი შეიტანა. თუ რა მოჰყვა ამ სარჩელს, ამაზე ოდნავ ქვემოთ. მანამდე კი, იმისათვის რომ მკითხველმა მომხდარის მნიშვნელობა უკეთ გაიაზროს, ორიოდ სიტყვით აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ რელიგიისა და სახელმწიფოს განცალკევების შესახებ შემუშავებულ დოქტრინას მიმოვიხილავთ.


როი მური თავისას არ იშლის და ფედერალურ მოსამართლეს ბრალს სდებს თავის კანონსა და ღმერთზე მაღლა დაყენებაში.

შეერთებული შტატების კონსტიტუციის უფლებათა ბილი, ანუ პირველ ათ ჩასწორებათაგან უპირველესი უკრძალავს საკანონმდებლო ორგანოს - კონგრესს - ნებისმიერი რელიგიის დაფუძნების შესახებ კანონის მიღებას. მომდევნო წლების განმავლობაში ეს აკრძალვა აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა როგორც სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი რელიგიისადმი გაწეული დახმარების ან სიმპათიის გამოხატვის აკრძალვა. მაგალითად, 1980 წელს უზენაესმა სასამართლომ აკრძალა სახელმწიფო სკოლების საკლასო ოთახებში ათი მცნების კედელზე გამოფენა, იმდენად, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, საჯარო სკოლებში, რომლებსაც მთავრობა მთელი მოსახლეობიდან აკრეფილი გადასახადებით აფინანსებს, არ შეიძლება სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე რელიგიის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქრისტიანობისა და იუდაიზმის) პრივილეგირებულობაზე თუნდაც ოდნავი მინიშნება, რადგანაც ეს არღვევს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების კონსტიტუციურ მოთხოვნას. კანონს, რომელიც დღეისთვისაა ძალაში, საფუძველი დაედო საქმით "ლემონი კურცმანის წინააღმდეგ". მაშინ უზენასმა სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს მხრიდან რელიგიისადმი მხოლოდ და მხოლოდ ისეთი დახმარებაა კანონიერი: ა) რომელსაც გააჩნია გარკვეული სეკულარული (საერო) საკანონმდებლო დანიშნულება; ბ) რომელიც რელიგიის არც პოპულარიზაციასა და არც შევიწროებას არ ემსახურება; გ) რომელიც არ უწყობს ხელს მთავრობის რელიგიასთან მეტისმეტ გადაჯაჭვულობას. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებულ ამ ტესტს მრავალი კრიტიკოსი ჰყავს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს დოქტრინა სასამართლოს ყოველ განხილულ საქმეში მისთვის სასურველი რეზულტატის მიღწევის საშუალებას ანიჭებს.

ამის მიუხედავად, "ლემონის საქმის" კრიტერიუმი დღეისათვის მოქმედი კანონია, რომელიც უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს.

ამდენად, ალაბამის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის "ამბოხი" თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული. ეს გასულ კვირას დამტკიცდა კიდეც. შტატის უზენაესი სასამართლოს შენობის წინ ათი მცნების სახალხოდ გამოფენა, არსებული კანონის დარღვევა აღმოჩნდა სწორედ იმიტომ, რომ ათი მცნება "დასავლური სამართლის იუდეო-ქრისტიანული" თეიზმის ნაწილად მოინათლა. სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო მატერიალიზების გზით ამ იდეის პოპულარიზება.

P.S. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ალაბამის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე როი მური, შტატის "მოსამართლეთა სასამართლომ", რომელიც ეთიკის ნორმების დარღვევების შემსწავლელი კომისიის მოთხოვნით იკრიბება, თანამდებობიდან დროებით გადააყენა, სასამართლოს უპატივცემულობის ბრალდებით. როგორც ვხედავთ, ამერიკული სამართლის სისტემამ ამჯერადაც იმუშავა და პოპულარულ დემაგოგს არ მისცა კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევის შესაძლებლობა. რაც შეეხება ამდენი დავიდარაბის გამომწვევ ქვის მონუმენტს, მას სასამართლო შენობის უფრო ნაკლებად ხილულ კუთხეში – თავმჯდომარე მურის კაბინეტში გადაიტანენ, თუ, რა თქმა უნდა, თავად მური დათანხმდება. რაც არ უნდა იყოს, მონუმენტი ორიათას ექვსას კილოგრამს იწონის და ზომითაც, ჩვეულებრივ ავეჯთან შედარებით, კარგა გვარიანად მოზრდილია.

## ორი სიტყვით

ზოგ ქვეყანაში მორგში უფრო შეიძლება გადარჩეს კაცი, ვიდრე ექიმების ხელში. ეს ვიეტნამში მომხდარმა შემთხვევამაც დაადასტურა. ნგუენ ვან ქუანის წასასვენებლად მორგში მისული ქალიშვილი შოკში ჩავარდა, როდესაც "გარდაცვლილმა" მამამისმა გაბრწყინებული თვალებით შეხედა ექიმს, რომელმაც მას ზეწარი გადახადა. ქალაქ ჰო ში მინის (ყოფილი საიგონი) საავადმყოფოს ექიმებმა დაასკვნეს, რომ ნგუენი გულის შეტევით გარდაიცვალა და მორგში გაამწესეს. დილით, როდესაც მას მიაკითხეს, საცოდავ კაცს ენა და ტუჩები სიცივისაგან დაჭმული ჰქონდა.

თუმცა, ექიმების თქმით, "გარდაცვლილი", შესაძლოა, სწორედ სიცივემაც გადაარჩინა, რამაც მისი არტერიები აამუშავა.

■ ■ ■

სახალინის გუბერნატორს, ფარხუტდინოვსა და კიდევ 19 ადამიანს, რომლებიც შვეულმფრენ მი-8 ჩამოვარდნის შედეგად დაიღუპნენ, 27 აგვისტოს დაკრძალავენ. შვეულმფრენი 20 აგვისტოს დაიკარგა. მის კვალს 23 აგვისტოს მიაგნეს. აღმოჩნდა, რომ ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაღუპული იყო. წინასწარი ვერსიით, შვეულმფრენი 1300 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა.

გამოძიება აცხადებს, რომ ავარია ტექნიკურმა გაუმართაობამ გამოიწვია, რაც უსაფრთხოების სტანდარტების იგნორირების შედეგი იყო. პროკურატურის განცხადებით, სანამ შვეულმფრენს იპოვიდნენ, არავინ იცოდა, რამდენი ადამიანი იმყოფებოდა მის ბორტზე. ზოგიერთი დაღუპულის ვინაობა ახლაც უცნობია.

■ ■ ■

23 აგვისტოს სტარტისათვის გამზადებული ბრაზილიური რაკეტის აფეთქებამ 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სტარტამდე სამი დღით ადრე გასაშვებ მოწყობილობაზე დამონტაჟებული რაკეტა მოულოდნელად აფეთქდა. აფეთქების მიზეზები ჯერ-ჯერობით უცნობია. ამგვარი ავარიები ძალზე იშვიათად ხდება, რამდენადაც სარაკეტო მყარი საწვავის აალება ძალზე რთული საქმეა.

ბრაზილიამ კოსმოსურ პროგრამაზე მუშაობა 70-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა, ჯერჯერობით უშედეგოდ. 1997 და 1999 წელს რაკეტების გაშვების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, ერთი ოკეანეში ჩავარდა, მეორემ კი კურსიდან გადაუხვია და გაანადგურეს. მესამე მარცხის მიუხედავად, ხელისუფლება აცხადებს, რომ პროგრამას გააგრძელებს.

ასე რომ, ბრაზილიელებმა, მართალია, ვერ შეძლეს პირველი ლათინო-ამერიკული კოსმოსური სახელმწიფო გამხდარიყვნენ, მაგრამ იმ ქვეყნად მაინც იქცნენ, რომელმაც ამ საქმისათვის კონტინენტზე პირველი მსხვერპლი გაიღო. არც იციან და არც თავს ანებებენო – მათზეა ნათქვამი.

შაჰ დენიზის ბუნებრივი აირის და კონდენსატის საზღვაო საბადოს ათვისების პირველი ეტაპის და სამხრეთ კავკასიის საექსპორტო მილსადენის პროექტები

საპროექტო დოკუმენტაციის საჯარო განხილვა საერთაშორისო დონეზე

შაჰ დენიზის საბადოს ათვისების პირველი ეტაპი წარმოადგენს კასპიის საზღვაო საბადოს განვითარების პროექტს. სამხრეთ კავკასიის მილსადენის (სკმ) პროექტი მოიცავს 690 კმ სიგრძის მილსადენს, რომლის საშუალებითაც განხორციელდება ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით, საქართველო-თურქეთის საზღვრამდე. ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება დაიწყება 2006 წლიდან. აღნიშნული პროექტებისათვის საჭირო საერთო ინვესტიციები შეადგენს დაახლოებით 3.2 მლრდ აშშ დოლარს, რაც მოიცავს მიახლოებით 2.3 მლრდ აშშ დოლარს შაჰ დენიზის საბადოს ათვისების პირველი ეტაპისათვის და 0.9 მლრდ აშშ დოლარს სამხრეთ კავკასიის საექსპორტო მილსადენისათვის. კომპანია "BP" მართავს ორივე პროექტს შესაბამისი საერთაშორისო ინვესტორების ჯგუფების სახელით. მან აგრეთვე დახმარება გაუწია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიას (არსნ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის მომზადებაში საჯარო განხილვისათვის.
არსნ და მისი ფილიალები მონაწილეობენ შაჰ დენიზის საბადოს ათვისების 1-ლი ეტაპისა და სკმ პროექტებში. მათი აქციათა პაკეტი შეადგენს 10%-ს თითოეულ პროექტში.
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ერგბ) ამჟამად განიხილავს არსნ-ის ფილიალებისათვის 170 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრძელვადიანი დაფინანსების გამოყოფის საკითხს. როგორც აღინიშნა, არსნ-ისა და მისი ფილიალების წილი თითოეულ პროექტში (შაჰ დენიზის და სკმ) შეადგენს 10%-ს.
პროექტების მიერ მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეკოლოგიური და სოციალური თვალსაზრისით პასუხისმგებლობით განხორციელების ვალდებულებების გათვალისწინებით, პროექტების ფარგლებში გატარდა ბევრი ზომა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭირვალობისა და საზოგადოების მონაწილეობის ამაღლების მიზნით, რომელიც მოიცავს საზოგადოებასთან ვრცელ კონსულტაციებს და მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციის გავრცელებას ეკოლოგიურ და სოციალურ საკითხებზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. ორივე ტერიტორიის მფლობელ ქვეყანაში (აზერბაიჯანი და საქართველო) გამოქვეყნდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც შესაბამისი მთავრობების მიერ დამტკიცდა 2002 წ ყოვლისმომცველი საჯარო განხილვის შემდეგ.
თითოეული ქვეყნის დონეზე დღემდე Cატარებული განხილვების გარდა, რომლებიც მოიცავდა კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ადგილობრივ მოსახლეობასთან, ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ერგბ-ს მოთხოვნაა ეკოლოგიური შეფასების დოკუმენტაციის მომზადება და საჯარო განხილვა ბანკის პოლიტიკებისა და სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, დამატებითი დოკუმენტაციაა შეტანილი საჯარო განხილვისათვის მომზადებული დოკუმენტების პაკეტში.

დოკუმენტები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
www.caspiandevelopmentandexport.com.

**შესაბამის ენაზე თარგმნილი დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია წინასწარ დანიშნული შეხვედრის საფუძველზე შემდეგ პუნქტებში:**

1. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი, საბურთალოს ქ.38 თბილისი, ტელ: 59 34 00
2. რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74, ოთახი 901, თბილისი
3. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7, თბილისი
4. რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20, რუსთავი
5. ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18, ახალციხე
6. EBRD ის ოფისი თბილისში ნ. Cხეიძის ქ. 38
7. EBRD is ofisi londonSi - Business Information Centre, One Exchange Square, London EC2A 2JN. Please contact: Bossan Annaeva at: +44 207 338 7150

შეკითხვებისა და შენიშვნების მიწოდება EBRD-თვის შესაძლებელია შემდეგის საშუალებით:

1. EBRD ის ოფისი თბილისში ნ. Cხეიძის ქ. 38
2. EBRD ის ოფისი ლონდონში - Business Information Centre, One Exchange Square, London EC2A 2JN. Please contact: Bossan Annaeva at: +44 207 338 7150
3. ელ. ფოსტა: annaevab@ebrd.com; JeterJ@ebrd.com
4. EBRD გამართავს შემდეგ საჯარო შეხვედრებს: 8 სექტემბერი, 09.30 სთ კომპოზიტორთა სახლი, ქ. ბორჯომი, საქართველო
11 სექტემბერი, 09.30 სთ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი", თბილისი, საქართველო

**შეკითხვებისა და შენიშვნების მიწოდება აგრეთვე შესაძლებელია:**

1. არსნ ოფისი. მისამართი: ქ. ბაქო, ნეფტCილარის გამზირი № 73 (საკონტაქტო პირი: ალამაჰმუდ სირაჯევი, ტელ.: 921 130)
2. კომპანია "BP"-ის ოფისი. მისამართი: საბურთალოს ქ. 38, თბილისი, საქრთველო

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** სანტანდერის "რასინგმა" იჯარის წესით შეიძინა "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე რიკარდო. ესპანურ კლუბში რიკარდო მომავალ წელს გაატარებს. სანტანდერში პრეზენტაციაზე რიკარდომ განაცხადა, რომ პირენეებზე, თანაც, არცთუ ძლიერ გუნდში დაბრუნებას, უკან გადადგმულ ნაბიჯად არ მიიჩნევს. ინგლისში მას მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, მაგრამ მანჩესტერელებს კარგი ურთიერთობისთვის ემადლიერება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ნიუკასლ იუნაიტედის" ფორვარდმა ალან შირერმა უარყო ხმები "ლივერპულში" ან "ტოტენჰემში" მისი გადასვლის შესახებ. "კაჭკაჭებთან" შირერის კონტრაქტი წლეულს იწურება, მაგრამ ფეხბურთელი მის გაგრძელებას აპირებს. "მე არაფერი ვიცი. ერთადერთი, რაც მსურს, "ნიუკასლთან" კონტრაქტის გაგრძელებაა", - ამბობს შირერი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისური "მიდლსბრო" შემადგენლობას აძლიერებს. კლუბი მადრიდის "რეალს" შეუთანხმდა, იჯარის წესით ერთი წლით გადაიბიროს პედრო მუნიტისი. "მიდლსბრო" "ჩელსიდან" ჰოლანდიელი ბუდევეინ ზენდენის გადაბირებასაც აპირებს. ზენდენს არაერთხელ უთქვამს, რომ "სტენფორდ ბრიჯის" დატოვებას აპირებს. ახლა ყველაფერი ფეხბურთელებზეა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას "მიდლსბრომ", ასევე იჯარით, გაისკა მენდიეტა გადაიბირა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იტალიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტურინის "იუვენტუსი" აპირებს, გერმანიის ნაკრებისა და "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი მიროსლავ კლოზე შეიძინოს. მას შემდეგ, რაც ჩილელმა მარსელო სალასმა ტურინი დატოვა, იტალიის ჩემპიონი დავიდ ტრეზეგეს დუბლიორს ეძებს. გერმანული კლუბი ამჟამად რთულ ფინანსურ კრიზისს განიცდის, ამიტომ კლოზეს ტრანსფერი სავსებით რეალურია.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მილანის" რიგებში თავისი სადებიუტო მატჩი ჩაატარა ბრაზილიელმა კაკამ. ეს რუმინეთის "ნაციონალთან" ამხანაგური შეხვედრისას მოხდა. საერთო აღიარებით, კაკა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. მთლიანობაში კი გუნდმა სასურველი თამაში ვერ აჩვენა. მატჩის ძირითადი დრო ფრედ - 1:1 დამთავრდა. პენალტების სერიაში კი რუმინელებმა იმარჯვეს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** კობი ბრაიანტის სიყვარული შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს ჯონ უილიამ როჩს. ბრაიანტის ფანი ტელეფონით დაუკავშირდა ქალს, რომელიც კალათბურთელს გაუპატიურებაში სდებს ბრალს და ავტომოპასუხით სიკვდილით დაემუქრა. პოლიციამ როჩი დააკავა. თუ მისი ბრალეულობა დადასტურდა, როჩს სერიოზული პრობლემები შეექმნება.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** თავისი დის მსგავსად, ამერიკის ღია პირველობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა ვინუს უილიამსმაც. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს ტრავმა მიიღო რამდენიმე ჩოგბურთელმა: ლინდსი დევენპორტმა ფეხის, ამელი მორესმომ ზურგის, ხოლო ჯენიფერ კაპრიატიმ და ჩანდა რუბინმა - მხრის.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამერიკის კორტებზე შერეულ წყვილებში არ ითამაშებს მარტინა ნავრატილოვა. მიზეზი ის არის, რომ ტურნირში არ მონაწილეობს მისი დიდი ხნის პარტნიორი ლეანდერ პაესი, რომელთან ერთადაც მან წლევანდელ სეზონში ავსტრალიის ღია ჩემპიონატი და უიმბლდონის ტურნირი მოიგო. შეგახსენებთ, რომ პაესს ძლიერი თავის ტკივილები აწუხებს. ის გამოკვლევაზე კიბოს ცენტრში გაგზავნეს.

■ ■ ■

**კრივი.** პრომოუტერულმა კომპანია "მეინ ივენტსმა" პრესკონფერენციაზე ანონსის სახით წარმოადგინა სუპერსაშუალო წონით კატეგორიაში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ფერნანდო ვარგასის მომავალი ბრძოლა. 3 ოქტომბერს ქალაქ ტაქსონში ვარგასი, რომელიც ამჟამად WBC-ის რეიტინგით პირველი ნომერია, ტონი მარშალს შეხვდება.

■ ■ ■

**წყალბურთი.** მსოფლიო თასის ფინალურ მატჩში უნგრეთისა და იტალიის ნაკრები გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს. ნახევარფინალში უნგრელებმა - 6:5 დაამარცხეს აშშ-ის გუნდი, ხოლო იტალიელებმა სერბები ჩამოიცილეს გზიდან - 5:4.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** რუსმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა "ჰოლანდიის ტური" მოიგო. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ, მეექვსე ეტაპზე ეკიმოვმა მეექვსე ადგილი დაიკავა, ამან მას გამარჯვებაში ხელი ვერ შეუშალა. ეკიმოვმა უახლოეს მდევარს 25 წამით აჯობა.

■ ■ ■

**ნიჩბოსნობა.** 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მიუნხენში გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ნიჩბოსნობის ფედერაციის სხდომაზე. ტურნირისთვის ბრძოლაში მიუნხენის მეტოქეები ფრანგული ეგიუბლეტი, პოზნანი და ამსტერდამი იყვნენ.

## ფეხბურთი

# შარშანდლის გაგრძელება

პაატა თოთაძე

გასულ სეზონში თბილისის "ლოკომოტივის" სამჯერ დამმარცხებელმა თბილისის "დინამომ" თავისთვის სასიკეთო და რკინიგზელთათვის უსიამო ტრადიცია წლეულსაც გააგრძელა – ქვეყნის ჩემპიონმა ამჯერად რევაზ არველაძის დამოძღვრილ "ლოკომოტივს" მოუგო სტუმრად.

"წლევანდელ სეზონში გუნდმა უკვე მესამე დაძაბული დერბი გამართა, თუმცა, დღევანდელი ყველაზე დაძაბული და რთული იყო", - მატჩის შემდეგ ივო შუშაკის ნათქვამმა ბევრი გააკვირვა. რა იყო ეს, დიპლომატია შუშაკის მხრიდან, თუ მართლაც ასე ფიქრობდა ხორვატი მწვრთნელი? "დინამოსა" და "ლოკომოტივის" თამაშს დაძაბულობა მუდამ თან ახლავს, მაგრამ გუშინწინ მოედანზე განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, არც დაძაბულობის და, მით უფრო, არც თამაშის მხრივ. ეს იყო საქართველოს ჩემპიონატის მეტ-ნაკლებად თანაბარძალოვანი გუნდების ჩვეულებრივი პაექრობა. მეტ-ნაკლეობა ვახსენეთ და, გუშინწინ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ბოლო დროს, მეტობა "დინამოსი" იყო. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ თამაშს "დინამო" აკონტროლებდა და თუ მატჩის ბოლო ხუთ-ათ წუთს არ ჩავთვლით, სტუმართა მეკარეს საქმე არ გასჩენია. ერთი თავდამსხმელით მოთამაშე რკინიგზელებმა დინამოელ მცველებს ვერაფერი დააკლეს. ამის მიზეზი რამდენიმე ლოკომოტიველის ტრავმა გახლდათ. მართალია, საგოლე მომენტების სიუხვით ვერც დინამოელები დაიკვეხნიან, მაგრამ პირველ ტაიმში მეტოქის კარს სამ-ოთხჯერ სახიფათოდ შეუტიეს. ერთ ეპიზოდში დარასელიას გოლის გატანაც მართებდა, მაგრამ ნახევარმცველს სიზუსტემ უმტყუნა.

შესვენების შემდეგ რკინიგზელები უკეთ გამოიყურებოდნენ, რამაც დინამოელთა შეტევები იშვიათი გახადა. ფლანგებზე კარგად მოთამაშე ჩემპიონი ამგვარად ცდილობდა, ფონს გასულიყო, მაგრამ მეორე სართულზე კარგად მოთამაშე მასპინძლები არაფერს თმობდნენ. ვერ გაამართლა იმედები ლევან მელქაძემაც. ამბობენ, გადაღლილია და საუკეთესო თვისებებსაც ამიტომ ვერ აჩენსო. ასეა თუ ისე, შუშაკს ფორვარდის შეცვლა მოუხდა – მის ნაცვლად მოედანზე მიხეილ ბობოხიძე შეუშვა. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ამ შეცვლამ გაამართლა, ისევე როგორც მეტოქის კარის ფლანგური შეტევის შედეგად დალაშქვრის მცდელობამ. მატჩის დამთავრებამდე 17 წუთით ადრე კარლოსის მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ბობოხიძემ ზუსტი თავური დარტყმით "ლოკომოტივის" კარში გაგზავნა.



ამ გოლმა "დინამოს" მორიგი სამი ქულა მოუტანა

გოგიტა ბახაიძის ფოტო

დარჩენილ დროში მასპინძლები ცოტა გააქტიურდნენ და შეეცადნენ, ანგარიში გაეთანაბრებინათ, მაგრამ მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. არ გაამართლა მოედანზე გოგინაშვილის შემოყვანამაც. წინა მატჩებში რეზო არველაძეს კობახიძე შეჰყავდა შეცვლაზე, მაგრამ გუშინწინ მეორე სართულზე ძლიერ კობახიძეს სწრაფი გოგინაშვილი ამჯობინა. როგორც თავად აღნიშნა, თავით კარგად მოთამაშე დინამოელ მცველებთან კობახიძე ბევრს ვერაფერს გახდებოდა და გოგინაშვილზე ამიტომაც შეაჩერა არჩევანი.

"დღეს ის შედეგი ვაჩვენეთ, რომლითაც კმაყოფილი ვერ ვიქნებით, მაგრამ ჩვენ საქართველოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშებოდით. წინა მატჩებთან შედარებით დღეს რამდენადმე შევცვალეთ ჩვენი თამაში. ვიცოდით, რომ "დინამოს" ძლიერი ფლანგები ჰყავს და საამისოდ ვემზადებოდით. სამწუხაროდ, მაინც ფლანგური შეტევიდან გაგვიტანეს გოლი. ყველაფრის მიუხედავად, ვფიქრობ, რომ საგანგაშო არაფერია. ჩვენი რამდენიმე მოთამაშე ტრავმირებულია, ერთი თავდამსხმელითაც ამიტომ ვითამაშეთ. ახლო მომავალში ისინი გამოჯანმრთელდებიან და გუნდიც თავის სახეს და ძალას აჩვენებს", - მარცხის მიუხედავად იმედიანი ჩანდა რევაზ არველაძე.

